პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1935 წ. იანვარი
პარიზი

№ 50

1935 — JANVIER
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ⁞⁞ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

გადატეხისაკენ

თევზი თავიდან აყროლდება. ეს ძველი სიბრძნე მუდამ მეორდება ადამიანებზედაც. ყველა ძალათ მაცხონეთა ბატონობა, ყველა დიქტატურა აღვირწახსნილი ბრძანებლებისა ინგრეოდა შიგნიდან, ერთი მეორის შეჭმით. სმოლნის გასროლილი ტყვია ამ მოვლენის ერთი ზედმეტი საბუთია. კომუნისტებმა გადასწყვიტეს მოეკლათ და კიდეც მოკლეს კომუნისტი კიროვი. ძმათა ბრძოლა დაწყებულია, მის გაღრმავებას და გაფართოვებას ვერავითარი კონტრტერორი ვერ შეაჩერებს. ერთიმეორის ინდივიდუალურათ «გასავალში» გატარება გამომდინარეობს ბოლშევიკური პრინციპებიდან, მათი დოქტრინიდან. რაკი ერთხელ დაშვებულია, რომ საკმარისია ძალაუფლების ხელში ჩაგდება უმასოთ და მასებზე გასაბატონებლათ, ხალხის ცხოვრების, მისი სურვილის და ნებისყოფის წინააღმდეგ, ფანტასტიური გეგმებით აწყობა და მაშასადამე პიროვნებათა ისტორიის გადამჭრელ ფაქტორათ გამოცხადება, საკმარისია ეს აზროვნება დაუშვათ, რომ ტერორი მთავარ ფარხმალათ იქნას აღიარებული და ის მოძალადეთა წინააღმდეგ ამუშავებული, მათი ადგილის ახალი მოძალადეების მიერ დასაჭერათ. ლიდერების განადგურება ბოლშევიზმის ძირითადი ცნებაა. ამიტომ ნიკოლაევი არ მიმართავს მასას, არ იწოდებს მას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, ვინაიდან მას ეშინია, ვაი თუ სტალინთან ერთად ჩვენც მიგვაფოცხონო. ხალხისადმი უნდობლობა მათი საერთო ძირითადი დოქტრინაა.

მას შეეძლო მიემართა პარტიისათვის, კომუნისტური მასისათვის, შინაურ დავაში ჩამოსარევათ და ბრძოლის პარტიული წესით გადასაწყვეტათ. მაგრამ აქ მას გზას უკრავს პოლიტიკური წყობილება, რაიცა თავის მხრით ლოღიკურათ გამომდინარეობს თვით დოქტრინიდან. პარტიული მასაც ისევე მოკლებულია ნდობას, როგორც საზოგადოთ ყველა მასა, ხალხი. მდგომარეობის ნამდვილი ბატონია არა პარტია, არამედ გეპეუ, პოლიციური ძალა, რომელიც ვერ ითმენს ვერავითარ ოპოზიციას, რა ფორმითაც არ უნდა იქნას მოვლენილი. ნიკოლაევი არის ამ წყობის ღვიძლი შვილი და ამავე დროს მის წინააღმდეგ აჯანყებული, გულადი და თავდადებული, მას მოსწონს კომუნიზმი, არ მოსწონს დღევანდელი მეთაურნი და ფიქრობს უკეთესი მეთაურების დაყენებას. ის არის წმინდა წყლის რეფორმისტი, ვიწრო, კომუნისტური ფარგლით შემოქალტული, გადაჯდომ-გადმოჯდომის დროშის ქვეშ მებრძოლი. მაგრამ საშუალება, გზა რეფორმისაკენ მიმყვანი მისთვის სავსებით დახშულია, რეჟიმი არ იძლევა არავითარ გასაქანს, ყველა კლაპანი ჩაკეტილია და შიგ სტალინის კლიკა მოკალათებულია. მეორე კლიკის აქ მოთავსება შეუძლებელია, ვერავითარ ნახვრეტით იქ ვერ შეძვრება. ამ ხალხის თავიდან მოშორება ინდივიდუალურათ თავისთავათ დგება ოპოზიციური კომუნიზმის დღის წესრიგში. სხვა საშუალება, სხვა კონცეპცია მას არ გააჩნია.

ჩვენი გზა არის არა ტერორი, არა კლიკათა ბრძოლა, არამედ მასიური მოძრაობა, რევოლიუცია. მაგრამ კომუნისტისათვის ეს ცნება ქაჩლის სავარცხალია, ის თვითონ, თავისი ინიციატივით ამ გზაზე ვერ შედგება. მისი დილემაა: ან დამორჩილება არსებული ძალმომრეობისათვის ან რევოლვერი, ან სტალინი ან ნიკოლაევი. ნიკოლაევჩინა პარტიაში ნიშნავს რეჟიმის საფუძვლის შერყევას, ახალგაზდა კომუნისტების განდგომას, მათზე იმედის დამყარების შეუძლებლობას და მით კრემლის დესპოტიის განსაცდელში ჩავარდნას. რომელი კომუნისტი ერთგულია, რომელი ორგულია—ამის გამორკვევა კომუნისტურ გეპეუს არ ძალუძს. სტალინი ასეთ საეჭვო ხალხს ვეღარ დაეყრდნობა. მას აქვს ერთი გამოსავალი, გამოსავალი ლენინური, აღადგინოს პარტიის დემოკრატია და მით მართლა პარტიული და არა პოლიციური მართველობა შეადგინოს! მაგრამ ასეთი «კონსტიტუცია» მას უქადის სანატორიუმში მოთავსებას, მთელი მისი კლიკის გადაბარგვას და ახალი ხალხის კრემლში დაბინავებას. ეს გამოსავალი სტალინისათვის დახშულია. ეს სისხლით დამთვრალი ტირანი განაგრძობს უდანაშაულოდა სისხლის მორევში ცურებას; ამ მორევს პირველათ ახლა მიემატა კომუნისტების სისხლი, გამოღვიძებული ახალგაზდობის ზვარაკათ მიტანილი მსხვერპლნი. ნიკოლაევმა სამსჯავროს წინაშე ამაყათ მოუწოდა თავის თანამოაზრეთ შურისძიებისაკენ. სტალინს რჩება ერთათ-ერთი გამოსავალი—დაეყრდნოს უპარტიოთა ორგანიზაციას, არმიას, ე. ი. დააწესოს წმინდა მილიტარისტული მართველობა სადაც დროებით კიდევ იბატონებს, სანამ რომელიმე მარჯვე სარდალი პანღურს არ ამოკრავს.

მსგავსი პროცესი ხდება პიროვნული დიქტატურის მეორე ქვეყანაში—გერმანიაში. 30 ივნის დაწყებული პარტიული ტერორი გრძელდება და უქადის მთელ პარტიას განადგურებას და დაშლას. კანონი წითელი და შავი ბოლშევიზმისა ერთნაირია, მათ შორის სრული პოლიტიკური ერთიგივეობაა და ვითარდებიან ერთ ხაზზე. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის დაშლა ნიშნავს გაბატონებული მეთაურობის ახალ ნიადაგზე გადაჯდომას და ახალი ფუძის მონახვას. ეს ფუძე უკვე მონახულია და აღიარებულია—ეს არის ჯარი. მაგრამ ჯარი იუნკრების ხელშია, ძველი რეჟიმის სულით გაჟღენთილია. როგორც კი ჰიტლერს, სტალინივით, დაეკარგება საკუთარი დამხმარე ძალა, რამაც ის ერის სათავეში დააყენა და ის სხვის ძალას დაეყრდნობა, ამით იხსნება კარები რესტავრაციისაკენ; იუნკრების რეალური ძალა თავის შესაფერს მეთაურსაც გამოსძებნის, რომლის ამალაში ჰიტლერს მხოლოდ ერთი მხლებლის ადგილი მიენიჭება.

პარტიული ბაზის დარღვევას მოსკოვში მივყევართ ბონაპარტიზმისაკენ, ხოლო ბერლინში—ჰოჰენცოლნერებისაკენ, თუ კი, რასაკვირელია, ხალხი არ ჩაერია და მთელი ეს შეხლა-შემოხლა თავის სასარგებლოთ არ დააბოლავა.

ორი ფრონტი

ერთია ძველი, საქართველოდან გამოსული, შესაფერი მანდატებით და დირექტივებით აღჭურვილი და აქ ევროპაში თავიდანვე მომქმედი და მებრძოლი. ეს 14 წელია მხოლოდ ეს ფრონტი იღწვის, იცავს ქართველი ერის უფლებებს, აცნობს დასავლეთს საქართველოს მდგომარეობას, ჩვენი ხალხის ბრძოლას და სულისკვეთებას, ხვდება მტერს ყოველგან მტრულათ და შეუდრეკლათ. ეს არის ფრონტი ნაციონალური, საქართველოს სიმაგრე და მეციხოვნე უცხოეთში. მოსკოვმა თითქმის ყველა ანტიბოლშევიკური ფრონტი მიანგრ-მოანგრია, მის შემოტევას ვერ უძლებს არა თუ ემიგრაციის დაჯგუფებანი, არამედ ბევრი ევროპის პარტიები და მთავრობებიც, ხოლო სამშობლოში ძირიანათ აღმოფხრა ყველა ანტისაბჭოთა ორგანიზაციები. მას დარჩა მხოლოდ ერთი ციხე აუღებელი, ერთი ცენტრი გაუტეხელი, აქაც და იქაც; ეს არის ჩვენი მებრძოლი ფრონტი, ჩვენი თავდადებული, უშიშარი რაინდები იქ და აქ მათი გამოძახილი და ნების ამსრულებელნი ერის მედროშენი. აი ეს სიმაგრე მტერმა ვერ აიღო სტრატეგიის ვერავითარი წესით, ვერც დასჯით, ვერც ალყას შემორტყმით, ვერც დალალულთა მოყიდვით, ვერც დაშინებით. რატომ? იმიტომ რომ ეს იყო შემოტევა გარედან, მოსკოვის ჯარით და მოსკოვის დროშით. აუღებელი ციხე აიღება მხოლოდ ერთი გზით—შიგნიდან, მეციხოვნეთა დაშლით, ერთი-მეორეზე გადაკიდებით და ძმათა ბრძოლის გაჩაღებით. შინაგანი მტერი ყველა მტერზე მავნებელია.

აი ამ მებრძოლი ფრონტის წინააღმდეგ შედგა და დღეს სავსებით ჩამოყალიბდა მეორე ფრონტი, ქართული დროშით და სამოსკოვო საქმით, ნაციონალისტების სახელით და საბალშევიკო აზრით. იცემა მრავალი ორგანო, იმართება გაუთავებელი კრებები, ითხზება მრავალნაირი თავდასხმები და ყველა ეს სცემს ერთ წერტილს, მიმართულია ერთი სიმაგრის, ჩვენი სიმაგრის, წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა კარგა ხანია შესწყვიტეს ჩვენზე თავსდასხმა თავიანთ პრესაში, ეს მათ აღარ ესაჭიროებათ, მას შემდეგ რაც მათი ორგანოების როლს საზღვარგარეთ სხვები ასრულებენ. მათ ვერ შესძლეს ჩვენი წაქცევა, იარაღი დაყარეს; მოედანს დაეპატრონნენ ახალი ხალხი, წინეთ ჩრდილში მდგომნი და დღეს გააფთრებით ამეტყველებულნი. ესენი თანდათან აფართოვებენ თავიანთ რიგებს. ამჟამათ მათ ფერხულში ჩადგენ მეზობლებიც, ყველა გზადაბნეული და უსაქმო მთის და აზერბაიჯანის შვილები. ეს კავკასიური ფრონტი თავისი რუსული ორგანოთი ემსახურება იმავე მიზანს: ქართული მებრძოლი ფრონტის მოშლას, ქართული მენშევიზმის დამარხვას.

ვინ არიან, საიდან ჩხავიან ეს ატაცებული მყვირალნი? რა მიუძღვით, რა უკეთებიათ? ყველა ის, ვისაც არასოდეს არაფერზე უფიქრიათ გარდა თავისთავისა, ვისაც არავითარი პოლიტიკური ბრძოლა არ გადაუხდია, არავითარი მონაწილეობა ხალხთა დიად მოძრაობაში არ მიუღია, ყველა უსაქმო, უხასიათო და ფრთხალი აი ამ ფრონტს მეთაურობს, მას აწყობს და მაღლა მყვირალობს. ძველ რეჟიმში მტერს ფეხს ულოკავდენ, დამოუკიდებლობის ხანაში ერის ბორბალს ჩხირებს უყრიდენ, ემიგრაციაში დადუმებულნი სიბნელეში გადავარდენ და დღეს უცებ ეს კვდარი ხალხი ატრაბახდენ—მოვდივართ, გზა მოგვეცითო—სწორეთ პაპულების თამაშის სასაცილო განმეორებაა. ვის აშინებენ, ვის უტევენ? საქართველოს არ აუგია ისეთი ციხე, რომ ის ყველა ჩანჩურამ დაანგრიოს. მოსკოვმა ის ვერ აიღო და ნაცარქექიები იბერებიან. მართლა უთქვამს ჩვენ დიდ პოეტს: «ანწლისაგან არ ივარგებს რომ გაკეთდეს სტვირი, ჩოჩრისაგან გაიზრდება მხოლოდ დიდი ვირი, საპნითაც არ გათეთრდება კაცის შავი პირი». მადა დიდი, სული ბოროტი, ხოლო ძალა კი ჭინჭალასი—ასეთი რაზმი სამუდამოთ დაგვილოცნია მოსკოვისათვის. ესენი შეაშინებენ მხოლოდ იმათ, ვისაც შიში თავის ხელობათ გაუხდია; ქართული მებრძოლი მენშევიზმი ისე არ დაძაბუნებულა უცხოეთში, რომ ამ ფინიების ყეფით თავისი ისტორიული გზა ოდნავათაც გაიმრუდოს.

ამ ფრონტს აქვს ერთი დიდი სურვილი—იყოს საქართველოს ბატონპატრონი. მათი აზრით, ბოლშევიზმმა დაამარცხა არა საქართველო, არამედ მენშევიზმი, ამით გასწმინდა ადგილი მათი ბატონობისათვისო. ეს საწყალი აზროვნება სწორეთ მათ გავს. თუ მხოლოდ ჩვენ დავმარცხდით, ხალხი განცხრომაში ყოფილა, ის განთავისუფლებულა და არა დამონებულა, ეს არის ბოლშევიკების ტეზისი და რა გასაკვირალია მათი ანარეკლი შავი რაზმი ამასვე იმეორებდეს. აქ მოხდა წითლების დაშავების სრული იდეიური დაკავშირება. ორივეს ერთნაირათ ეჯავრებათ ის «წყეული მენშევიზმი» და მას სხვადასხვა გზით ერთათ ურტყამენ. მაგრამ ამ ბრძოლიდან როგორ გამოვა გამარჯვებული—ქარუმიძე-კედია-ბამატი—ეს ალახმა უწყის. საქართველოში გამარჯვება ნიშნავს მოსკოვის უღლის გადაგდებას, შავები კი ებრძვიან არა ამ უღელს, არამედ ამ უღელთან მებრძოლთ, ხოლო გამარჯვება კი თურმე მაინც მათ დარჩებათ! წმინდა სანაცარქექიო თავის შექცევაა. ისესხეს რა ასე თავისი აზროვნება, ისესხეს იმავე წყაროდან თავისი ზნეობა. ცნობილია, რომ ბოლშევიკების მთავარი საპროპაგანდო ფარხმალია—სიცრუე. ამ ახალი ფრონტის მთელი უკაცრავათ პასუხია მწერლობა აგებულია მხოლოდ სიცრუეზე, მიეთ მოეთობაზე, რითაც დიდათ გადააჭარბეს თავის მასწავლებელთ. ყოველთვის ასეა, შინაური მტერი გაცილებით უფრო ზნედაცემულია, ვინემ გარეშე. ერთი გიტევს შეპარვით, უკანიდან, ხოლო მეორე პირდაპირ მოდის. უსაქმურთა ნააზრევი რა იქნება თუ არა უსაქმურთა ჭორები, ქუჩაში გაგონილი ზღაპარი, ერთიმეორის ქირდვა და გაუტანლობა. ჭორის ფურცლები გამრავლდა, გაბერილი მოტრაბახენი საჯაროთ შეჭორიკდენ და სტოვებენ წაუშლელ საბუთს მათი ლაშქარის გახრწნისას.

ხალხის დიდებულმა მოძრაობამ ესენი გამოახტუნა თავისი სოროებიდან, ფეხი გამოყვეს, ჩვენც ნახირ-ნახირაო, მაგრამ ვერ შეიღირსიეს და მიძვრებიან ახლა იქით საიდანაც გამოძვრენ—არარაობისაკენ. არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი. ხალხის გვერდით ამ ვაჟბატონებს არასოდეს არ უბრძოლიათ და გვაკვირვებს რატომ წარმოიდგინეს, რომ ახლა იბრძოლებდენ. მუდამ ხალხის მოწინააღმდეგენი, დარჩენ ხალხის მოწინააღმდეგეთ და მას ზურგიდან წიხლებს ესვრიან. მათი ბოლშევიკებთან ერთათ ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლა სრულიად ნორმალურია, ბუნებრივია, ორივე ერთნაირათ ხალხის სამტრო ბანაკის მეთაურნია და თავიანთი ბატონობის და გადიდკაცების მოტრფიალენია. ორივეს ერთნაირათ კოვზი ჩაუვარდათ ნაცარში საქართველოს ერის სუვერენობის გამოცხადებით, ორივემ ერთნაირათ მიმართა უცხო ძალას მათი არარაობის გასაბატონებლათ. ბოლოს გაიმარჯვა ერთმა მათგანმა, წითლებმა, და დღეს შავები შურით გატენილია, ვაი დედასა, როგორ მოგვასწრესო და იძახიან: მომავალი ჩვენიაო.

ფრონტი ფრონტის წინააღმდეგ. ან ერის ღვიძლი შვილები, ან მისი ხორცმეტნი. ჩვენი მსაჯულია საქართველო, ქართველი ხალხი, იქ დარაზმული ერი. ამ უმაღლეს მსაჯულმა არა ერთხელ გამოიტანა თავისი განაჩენი, გამოიტანა ყოველთვის ჩვენს სასარგებლოთ და მათ საწინააღმდეგოთ. იქ ხმაჩაკმედილნი და გარიყულნი, აქ ატრაბახდენ, თითქოს ემიგრაციაში შეიძინეს ახალი უფლება, სამშობლოში მათთვის დიდიხანია ართმეული. მათი ფიზიონომია გამორკვეულია, მათი სულის ჩამდგმელნი ცნობილია. ვინც მებრძოლთ ებრძვის, ის მტრის ბანაკშია. ტანჯული საქართველო ამას არ დაივიწყებს.

1934 წელი

1934 წელი ევროპაში რასიზმის და ფაშიზმის დიდი აქტიობით დაიწყო.

რასისტულ გერმანიის ამოცანა იყო გაბატონება და გავლენა მოეპოვებია არა მხოლოთ ცენტრალურ ევროპაში, არამედ ბალტიის ქვეყნებში და რუსეთშიდაც. ხოლო სანამ ის აღმოსავლეთით დაიწყებდა აქტიურ მოქმედებას, აუცილებელ საჭიროთ სთვლიდა ჯერ ავსტრიაში მოეკიდა მაგრათ ფეხი. მაგრამ ავსტრიას, როგორც გემრიელ ლუკმას, რომ იტალიაც შეჰყურებდა. ამნაირათ გერმანიის და იტალიის შორის ავსტრიის საკითხის გამო დიდი მეტოქეობა გაჩაღდა.

ფაშისტურ იტალიამ მიიღო ყოველნაირი ზომები ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწეების მოსამხრობათ. იტალიის წაქეზებით და მატერიალური დახმარებით იყო, რომ დოლფუს-შტარემბერგმა გაბედეს და ავსტრიის სოციალდემოკრატიას სამოქალაქო ომი გამოუცხადეს. მათ ისარგებლეს საფრანგეთში თებერვლის დღეებში არეულ-დარეულობით, როცა დალადიეს მთავრობა უმთავრესათ შინაურ საქმეების მოგვარებას უნდებოდა და საგარეო ფრონტს იმდენ ყურადღებას ვეღარ აქცევდა.

სოციალდემოკრატია ავსტრიაში ერთათ ერთი პარტია იყო, რომელიც ყოველგვარ უცხო გავლენას და ბატონობას ავსტრიაზე სასტიკათ ებრძოდა და თავის ქვეყნის დამოუკიდებლობას თავგამოდებით იცავდა. სოციალდემოკრატიის დამარცხებით იტალია ცდილობდა მას ავსტრიისაკენ გზა გაეკაფა და იქ მისი მდგომარეობა განემტკიცებია.

ჰიტლერის გერმანია კი ასეთ რამეს ვერ შეურიგდებოდა. მან თავის მხრით იტალოფილური დოლფუს შტარემბერგის მთავრობის გადაგდების ხელისშეწყობას შეეცადა და ავსტრიაში ნაციონალ-სოციალისტების რეჟიმის დამკვიდრება მოინდომა. ავსტრიელ ნაციონალ-სოციალისტებმა მთავრობის თავმჯდომარე—დოლფუსი მოჰკლეს, მაგრამ იქ თავიანთი რეჟიმის დამყარება მაინც ვერ მოახერხეს.

გერმანიის საწინააღმდეგოთ ავსტრიას გამოექომაგა და მისი დამოუკიდებლობის დაცვა მოითხოვა ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ.

იტალია, რომელიც წინეთ ყოველთვის გერმანიასთან გამოდიოდა და ორივენი ერთათ კი ხშირათ საფრანგეთს უპირდაპირდებოდენ, ეხლა იძულებული შეიქნა გერმანიის წინააღმდეგ საფრანგეთთან ერთათ ემოქმედნა. შექმნილ მდგომარეობით მოხერხებულათ ისარგებლა საფრანგეთმა. ეს უკანასკნელი შეეცადა იტალიასთან კარგი განწყობილება ჩამოეგდო, მას დაახლოვებოდა და ის გერმანიისაგან ჩამოეცილებია. ამ მიზნით საფრანგეთის დიპლომატიამ დიდი მუშაობა გასწია მცირე ანტანტის ქვეყნებში. ჩეხოსლოვაკიაში, რუმინიაში და იუგოსლავიაში სპეციალური მისიით იმოგზაურა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბარტუმ, რომელსაც უნდა მოეგვარებია სადაო საკითხები ამ ქვეყნების და იტალიის, თუ საფრანგეთს შორის.

საფრანგეთი ცდილობს აგრეთვე ბალკანეთის ქვეყნების (რუმინია, იუგოსლავია, საბერძნეთი, ოსმალეთი) პაქტს თავის ხელმოწერა შეუერთოს ბოლგარიამაც, იცნონ ყველამ უკვე არსებულ საზღვრების რევიზიის შეუძლებლობა და ამ გზით ცენტრალურ ევროპის და დუნაის ქვეყნები თანდათან გერმანიას დააშოროს.

თუ გერმანია ცენტრალურ ევროპის და დუნაის ქვეყნებიდან დროებით მაინც გარიყულ იქნა და იზოლიაციაში მოექცა, მას ადვილათ შეეძლო თავის აქტიური მოქმედების ასპარეზი აღმოსავლეთით გადაეტანა და ამ მიმართულებით გაძლიერებულიყო. გერმანიის ზრახვებს საფრანგეთი აქაც წინ გადაეღობა და მისი გეგმის ჩაშლა მოინდომა.

საფრანგეთმა მეტათ დიდი აქტიობა გამოიჩინა აღმოსავლეთ ევროპის პაქტის დასადებათ. ამ პაქტზე ხელი უნდა მოეწერა საბჭოთა რუსეთს, ბალტიის ქვეყნებს, გერმანიას, პოლონეთს და ჩეხოსლოვაკიას. ამ პაქტის ძალით ზემოთ აღნიშნული სახელმწიფონი ერთმანეთს მხარს უჭერდენ, თუ რომელიმე მათგანის წინააღმდეგ ვინმე საომარ მოქმედებას დაიწყებდა. და, როგორც გარანტი, ასეთ პაქტს საფრანგეთიც უერთდებოდა. მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის პაქტს არ მიემხრო გერმანია, რომელსაც არ სურს ამ აქტით მისი დღევანდელი საზღვრები დაადასტუროს; მას არ მიემხრო არც პოლონეთი, რომელიც პაქტის წინააღმდეგია უმთავრესათ იმ მოსაზრებით, რომ ამ პაქტის ძალით მისი ტერიტორია შეიძლება უცხო ჯარების გასავლელ გზათ გამხდარიყო.

გასულ წლის განმავლობაში აღმოსავლეთ ევროპის პაქტის დადება არ მოხერხდა, მაგრამ სამაგიეროთ გერმანიას და პოლონეთს შორის მოხდა შეთანხმება და დაახლოვება და პოლონეთი საფრანგეთის პოლიტიკის ორბიტიდან თანდათან გავიდა.

შეურიგებელ და მოუდრეკელ გერმანიის წინააღმდეგ დასაყრდნობათ საფრანგეთი საბჭოთა რუსეთს მიმართავს, მასთან მკვიდრი თანამშრომლობის სურვილს აცხადებს და მას ერთა ლიგაში შემოსასვლელათ მოუწოდებს. რუსეთი ძალზე დაშინებული, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით ომის მოსალოდნელობით, საფრანგეთის წინადადებას სიამოვნებით და სიხარულით იღებს და ბურჟუაზიულ ევროპის წინაშე მოსკოვი მოწიწებით რევერანსებს აკეთებს. საფრანგეთი ცდილობს რუსეთი გერმანიის წინააღმდეგ გამოიყენოს, რუსეთი კი თავისი მხრით ფიქრობს, საფრანგეთთან დაახლოვებით გერმანია დააშინოს და მით შორეულ აღმოსავლეთის ფრონტიც ერთნაირათ უზრუნველყოს.

საბჭოთა რუსეთი ერთა ლიგაში შემოიტუზა, მან თავი ამოყო იმ «ავაზაკთა» შორის, რომელთაც ის ამ წლების განმავლობაში ასე უდიერათ ლანძღავდა და გაურბოდა. მოსკოვი დღეს ცუდ მდგომარეობაშია და მზათ არის თავის სასარგებლოთ გამოიყენოს ის საერთაშორისო ორგანო, რომლის წინააღმდეგ ის თუთხმეტი წლის განმავლობაში რუსეთის საზოგადოებრივ აზრს ამხედრებდა. და თუ ხვალ მას ერთა ლიგა აღარ დასჭირდება და მისი იქ ყოფნა მისთვის შემბოჭავი იქნება, მაშინ მოსკოვი ერთა ლიგას და მის წევრებს, მათ შორის პირველ ყოვლისა თვით საფრანგეთს, ძველებურათ ზურგს შეაქცევს და ბრძოლას გამოუცხადებს. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ საფრანგეთის პოლიტიკის ხელმძღვანელებს ამ მხრით მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ კონტინენტის ქვეყნების ურთიერთ შორის დამოკიდებულება. მაგრამ უნდა ვიცოდეთ აგრეთვე, თუ როგორია ინგლისის მათდამი დღევანდელი განწყობილება.

დიდ ომში გერმანიის მთავარი მოწინააღმდეგე ინგლისი იყო და საბოლაოთ ამ უკანასკნელის ფლოტმა დაამარცხა ის. ომის შემდეგ ინგლისი დამარცხებულ გერმანიას ამოუდგა გვერდში და მუდმივათ მას მხარს უჭერდა. ამის მთავარი მიზანი იყო, გამარჯვებულებს ზედმეტათ თავი არ წამოეყოთ და ევროპაში არ ებატონებიათ.

ამ უკანასკნელ ხანებში კი ინგლისი იწყებს თავის პოზიციის შეცვლას. გერმანიის სწრაფი შეიარაღება, მისი საომარი მზადება და მილიტარიზმის აღორძინება იქცევს ინგლისის საზოგადოების დიდ ყურადღებას. ინგლისის მართველი წრეები მეტათ ფრთხილათ ეპყრობიან გერმანიის მომავალ საშიშროებას და ეს იწვევს მათ მიერ შესაფერ წინასწარ ზომების მიღებას.

იტალიასთან, შვეციასთან და გოლანდიასთან ერთათ საარის რაიონში პლებისციტის დროს წესრიგის უზრუნველსაყოფათ ჯარების ნაწილს ინგლისიც აგზავნის და ყველა ამ ჯარების ხელმძღვანელათ და მეთაურათ ინგლისელი გენერალი ინიშნება. დიდი ომის შემდეგ ეს პირველჯერ არის, რომ ინგლისი კონტინენტის საქმეებში ასეთ აქტიურ მონაწილეობას იღებს.

ინგლისის ასეთი ნაბიჯი გამოწვეულია არა მხოლოთ გერმანიის გაძლიერების საშიშროებით, არამედ, და შეიძლება უმთავრესათ, იმითაც, რომ ინგლისი ეხლა ნათლათ ხედავს, თუ გერმანიის და საფრანგეთს შორის სადაო საკითხებში ის ძველებურათ გერმანიის მხარეზე იქნება და საფრანგეთს უფრო დიდ ანგარიშს არ გაუწევს, ამას შედეგათ რუსეთ საფრანგეთ შორის მკვიდრი კავშირი მოყვება და ამით თვით ინგლისის მდგომარეობა სახიფათო გახდება. სპარსეთზე და ცენტრალურ აზიაზე, სადაც ინგლისს დიდი ინტერესები აქვს, დღეს რუსეთი მძლავრათ არის მოწოლილი და სრულიათ არ შედის ინგლისის ანგარიშში მან ასეთ პირობებში მოსკოვი კიდევ უფრო გაამაგროს და მას ძლიერი მოკავშირენი შესძინოს.

საარში ინგლისის ჯარების გაგზავნას დიდის თანაგრძნობით შეხვდა, როგორც საფრანგეთის, ისე თვით ინგლისის საზოგადოებრივი აზრი.

დღეს საფრანგეთის საგარეო სამინისტროც და მისი ხელმძღვანელი ლავალი უფრო მოწადინებულია ევროპის საქმეები მოგვარებულ და მშვიდობიანობა დაცულ იქნას ინგლისთან და იტალიასთან თანამშრომლობით და გერმანიასთან დაახლოვებით, ვიდრე ამას ფიქრობდა ბარტუ, რომლის მთავარი საზრუნავი იყო გერმანიის განსაცალკევებლათ და საწინააღმდეგოთ მოკავშირენი ეძებნა, და ერთ ასეთ მთავარ მოკავშირეთაგანს ის საბჭოთა რუსეთში ხედავდა.

თუ რამდენათ საფრანგეთი და ინგლისი შერჩებიან ამ ბოლო დროს მათ მიერ აღებულ პოლიტიკის ხაზს ეს მომავლის საკითხია.

შორეულ აღმოსავლეთით რუსეთ-იაპონიას შორის მდგომარეობა ისევე გამწვავებული და მოუგვარებელია, როგორც ამას ადგილი ქონდა მთელი გასული წლის განმავლობაში. ორივე ისინი ერთი მეორის წინააღმდეგ ირაზმებიან და საომრათ ემზადებიან. რუსეთმა დიდძალი ჯარები მიაყარა საზღვრებზე მოწინააღმდეგისაგან თავის დასაცავათ. მაგრამ ცენტრისაგან ასე დიდი მანძილით დაშორებულ ჯარების მოვლა, კვება-შენახვა ადვილი საქმე არ არის. უცხოელების ცნობით საომრათ გამზადებულ რუს ჯარისკაცთა შორის ფართეთ გავრცელებულია ყოველგვარი გადამდები სნეულებანი, მათ აკლიათ სასმელ-საჭმელი და არ აქვთ შესაფერი ბინა-თავშესაფარი. ამავე დროს იაპონელები ცდილობენ დრო მოიგონ, ჯერ თანდათანობით მოხდეს რუსი ჯარების მოღლა-დემორალიზაცია, თვითონაც სათანადოთ მოემზადონ და შემდეგ კი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაც გაადვილდებაო.

ამნაირათ საბჭოთა რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა მთავარ საგარეო ფრონტებზე არ არის მისთვის სასურველათ სტაბილური.

რაც შეეხება ევროპის ქვეყნების შინაურ პოლიტიკურ ვითარებას, ამ მხრივ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისპანიას, სადაც მემარცხნე პარტიების ბოლშევიზანური პოლიტიკა იყო უმთავრესათ იმის მიზეზი, რომ იქ რეაქციამ გაიმარჯვა, სხვაგან მდგომარეობა გასული წლის განმავლობაში არსებითათ დიდათ არ შეცვლილა.

არ გამართლდა ზოგიერთების მოლოდინი, რომ ფაშიზმის და რასიზმის სფერო კიდევ უფრო გაფართოვდებოდა და ის მოედებოდა იმ ქვეყნებსაც, სადაც ომის წინეთ დემოკრატიული და ლიბერალური რეჟიმი არსებობდა. წინააღმდეგ, ზოგ ამ ქვეყნებში დემოკრატიის ძალამ და გავლენამ თვალსაჩინოთ იმატა და გაიზარდა.

საჭიროა აქვე აღინიშნოს ფაქტი ევროპაში კომუნიზმის დეკადანსისა. კომინტერნი, მოსკოვის ეს უძლური მაჩანჩალა და საბჭოთა საგარეო საქმეების აგენტი, ათასნაირ მანიოვრებს ახდენს, რომ ევროპის მუშათა კლასის საზოგადოებრივი აზრი და მხარის დაჭერა მოსალოდნელ ომის დროს რუსეთის სასარგებლოთ უზრუნველყოს. მაგრამ მიუხედავათ ამისა ევროპის დემოკრატიული ქვეყნების, ინგლისის, შვეციის, დანიის, გოლანდიის, ბელგიის, შვეიცარიის და ჩეხოსლოვაკიის მუშათა პარტიები არასოდეს წინათ არ ყოფილან მოსკოვის და კომუნისტების პოლიტიკის ისეთი წინააღმდეგი, როგორც ისინი ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში იყვნენ. კომინტერნმა და კომუნისტებმა მათ თვალში დაკარგეს ყოველნაირი ნდობა და პატივისცემა. ეს პარტიები მათთან რაიმე კავშირის და დამოკიდებულების სასტიკი წინააღმდეგი არიან.

როგორია დღეს თვით რუსეთის შინაური პოლიტიკური ვითარება?

ბოლშევიკებს თუ დაუჯერებთ, საბჭოთა ხელის უფლების ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია ვითომ წარმოადგენს მთლიან მონოლიტურ ერთეულს, რომლის ოდნავადაც შერყევა შეუძლებელია. საბჭოთა რეჟიმის მტერნი და მოწინააღმდეგენი, მათი აზრით, სამუდამოთ დაძლეულ-დანგრეულია.

პირველ დეკემბერს პეტროგრადში მომხდარ ამბავმა ამ ზღაპრების ხუხულას ფარდა ახადა და ბევრი რამ სინათლეზე გამოიტანა.

კიროვის მკვლელობის შემდეგ დღეებში ბოლშევიკების მიერ სხვადასხვა ქალაქებში განუკითხავათ და განუსჯელათ, სანამ ჯერ კიდევ თვით მკვლელი—ნიკოლაევის დაკითხვა გრძელდებოდა, 100 კაცზე მეტი იქნა დახვრეტილი.

ამით ბოლშევიკებს ერთი მხრით უნდოდათ თავიდან მოეცილებიათ მათთვის არა სასურველი ის ეგრეთ წოდებული «თეთრგვარდიელები», რომელნიც კიროვის მკვლელობის დიდი ხნის წინეთ იყვნენ დატყვევებულნი, და რომელთაც, როგორც ეს უკვე გამოქვეყნებულ საბრალდებულო ოქმიდან ნათლათ სჩანს, არავითარი კავშირი მკვლელობასთან არ ჰქონიათ; მეორე მხრით კი ისინი ფიქრობდენ ამ მათი ტერორით ყველასათვის შიშის ზარი დაეცათ.

პირველათ ბოლშევიკები ცდილობდენ ისეთი შთაბეჭდილება შეექნათ, რომ კიროვის მკვლელობაში ვითომც კომუნისტების ხელი არ იყო. ეს ვერ შესძლეს. გამოირკვა, რომ დახვრეტილთა შორის ბევრი ჩეკისტ კომუნისტები იყვნენ. შემდეგ გამოიგონეს ის ვერსია, რომ ვითომც მკვლელობა ზინოვიევ-კამენევის ოპოზიციის საქმე იყო, ამათ ტერორისტულ აქტების საშუალებით უნდოდათ ძალაუფლების ხელში ჩაგდება და შემდეგ კაპიტალისტური რეჟიმის აღდგენა. მაგრამ სიმართლის დამალვა აქაც შეუძლებელი შეიქნა. ეხლა ირკვევა, რომ ტერორისტულ აქტების მომწყობ ცენტრებში შედიან უმთავრესათ კომსომოლები. არსებულ რეჟიმით უკმაყოფილებას ფართეთ გაუდგამს ფესვები საერთოთ ახალგაზდობაში—მცირე წლოვან ყმაწვილებით დაწყებული და უფროს კომსომოლებით გათავებული. ახალი თაობა წინააღმდეგი და უკმაყოფილოა საბჭოთა რეჟიმის დღევანდელ სულის ჩამდგმელებით.

კომუნისტების «მონოლიტური» პარტია შიგნიდან ირღვევა და მისი გახრწნა და დემორალიზაცია ყველასათვის თვალსაჩინო ხდება. სტალინი იღებს დეპეშებს, მისი ყურმოჭრილი მონანი მისგან ზინოვიევის და კამენევის დახვრეტას მოითხოვენ. მაგრამ ბოლშევიკები თვალებს ვერავის აუხვევენ. მათ ძლიერ კარგათ იციან, რომ მუდამ მხთალი და მუცლით მხოხავი ზინოვიევ-კამენევი აქ არაფერ შუაშია. მათი მიზანია სისხლის მწოვლობით და ავაზაკური ტერორის საშუალებით თავიანთი პარტიის წევრები დააშინონ და მით დღევანდელი უკმაყოფილების ტალღა შეაჩერონ. მაგრამ ვინც ხმალს იღებს ხელში და ფიქრობს, რომ ცხოვრების მწვავე საკითხებს მხოლოთ მის საშუალებით გადაჭრის და მოაგვარებს, ის ყოველთვის ხმლისაგანვე იღუპება.

რუსეთში კომუნისტური პარტიის წევრები დღეს ერთი მეორეს დაერიენ და ერთი მეორის თავებს და დახვრეტას მოითხოვენ. ბოლშევიკების დიქტატურას თანდათან წყალი უდგება, მას ნიადაგი ეცლება და ასეთი ამბებით მომავალ წელში გადავდივართ.

გ. გვარჯალაძე.

31 დეკემბერი.

◆

გრ. რცხილაძე

სამწუხარო ამბავი მოვიდა საქართველოდგან: გასული ნოემბრის 8-ს ტფილისში გარდაიცვალა გრიგოლ რცხილაძე.

განსვენებული ეკუთვნოდა მიმდინარე საუკუნის დასაწყისზე გამოსულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა თაობას, და იყო ფრიად თვალსაჩინო პიროვნება. იგი იქნებოდა დაახლოვებით სამოცი წლისა. გიმნაზია დაამთავრა ტფილისში და უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდულ ფაკულტეტზე.

სწავლის დასრულების შემდეგ ჩაეწერა ვექილად და თან დაიწყო მწერლობა—სწერდა ფელეტონებს და ლიტერატურულ-კრიტიკულს წერილებს. მალე მიემხრო ახლად დაარსებულ ს.-ფედერალისტთა პარტიას, რომლის ერთი ლიდერთაგანი გახდა.

განსვენებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ქართულ დაწესებულებაში, სხვათა შორის თავმჯდომარეობდა «ქართველ მწერალთა საზოგადოებას». იყო წევრი ეროვნული საბჭოსი და მერე დამფუძნებელი კრების. ერთხანს მას დაკისრებული ჰქონდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლობა სტამბოლში, სადაც საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა...

აჯანყების დღეებში ის დაატუსაღეს და მონაწილეობას იღებდა დამოუკიდებლობის კომიტეტის პროცესში. ტრიბუნალმა სასჯელისაგან გაანთავისუფლა...

განსვენებულს ყოველთვის ახასიათებდა სიდინჯე და თავდაბლობა; მოკლებული იყო ყოველგვარს აფექტიურობას, თავის გამოჩინებას, ეფექტობას. ამასთანავე ერთად იყო იშვიათი შრომის მოყვარე...

მისი სიკვდილი მეტად მძიმე დანაკლისია ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის, რომლის სამსახურში მას ბევრი საქმის გაკეთება შეეძლო კიდევ.

საქართველოს სოც.-დემოკ. პარტია მხურვალე თანაგრძნობას უცხადებს სოც.-ფედერალისტების პარტიას, რომლისთვის გრ. რცხილაძის დაკარგვა მეტად დიდი დანაკლისია...

◆

ისევ გვარდიაზე

გაზეთი «მხედარი» და მისი თანამშრომელნი არ უშვებენ შემთხვევას რომ გვარდიას არ უკბინონ, არ ჩაწიხლონ, გული არ მოიჯერონ იმაზე მასლაათით თუ როგორ გამორბოდა ის ბრძოლის ველიდან, როგორ იპარებოდა პოზიციებიდან და სხ. და სხ. თითქოს მოგონებები არ კმაროდა, ახლა ეს სანაქებო წესი პუბლიცისტიკაში და ბელეტრისტიკაშიაც გადაიტანეს (ვენ. ბაქრაძე, ნ. მა—ლი, № 17).

«მხედარი»-ს თანამშრომელნი, როგორც სჩანს, სრულიად არ იცნობენ გვარდიის გაჩენის ისტორიას და მის მოღვაწეობას. ამიტომ საჭიროდ მიგვანია ორიოდე სიტყვა ამის შესახებ.

ეკონომიური წერილები

8. საბჭოთა აღმშენებლობის სურათები და ამ სურათების ახსნა-განმარტება.

«საბჭოები» მუდამ დიდ პროპაგანდას ეწეოდენ უცხოეთში, ხან ფარულს—სხვადასხვა სახის «უჯრედების» საშვალებით და ხან ღიას—პრესის საშვალებით. წინათ ამ პროპაგანდას უფრო «იდეალისტური» ხასიათი ჰქონდა: 160 მილ. მცხოვრებთა სახელმწიფოში «მუშათა და გლეხთა» მთავრობა სოციალიზმს ახორციელებსო. ევროპიელებს ეს ამბავი აინტერესებდა, როგორც გაუგონარი ექსპერიმენტი; არსებითად კი არავითარ სიკეთეს აქედან არ მოელოდენ. ახლა ამ პროპაგანდას «რეალური» საფუძველი მიეცა: წიგნი, პრესა, სინემატოგრაფი იმას აუწყებს ქვეყანას, თუ რას მიაღწიეს უკვე ამ «გაუგონარ წესით» მოწყობილ სახელმწიფოში. სიტყვას თუ არ დაეჯერება, ფაქტებს ხომ უნდა დავუჯეროთ; აი ფოტოგრაფიული სურათები საბჭოთა აღმშენებლობის: დნეპროსტროი, მაგნიტოგორსკი. ელექტრონის სადგურები, არხები, მუშათა სასახლეები, მოსკოვის მეტრო, ჯარები, აეროპლანები, ტანკები, ტანკები და კიდევ ტანკები... ყველაფერი ეს სინამდვილიდან ეკრანზეა გადაღებული, მოდი და ნუ დაიჯერებ!

ყოველივე ეს უსათუოდ შთაბეჭდილებას ახდენს და არა მარტო უცხოელებზე.

გასულ ოქტომბრის თვეში ერთი წიგნიც გამოვიდა საბჭოთა კავშირის აღმშენებლობის შესახებ ფრანგულ ენაზე, სახელწოდებით: «დოკუმენტი. ს. ს. რ. კ. აზიის სახელმწიფო»—მორის პერშერონის. ეს წიგნიც უხვათ არის დასურათებული: ქარხნები, უზარმაზარი სახლები, სულ მომცინარე ხალხი და... აუცილებელი ტანკები. ერთი სიტყვით ამ წიგნის ავტორსაც თავდაპირველათ განცვიფრებაში მოყავს მკითხველი იმ აღმშენებლობის მასშტაბით, საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში რომ სწარმოებს; ხოლო ავტორს საჭიროთ დაუნახავს ამ აღმშენებლობისთვის კომენტარიებიც გაეკეთებია, განმარტება მიეცა იმ სურათებისთვის, იმ ციფრებისთვის, რაც მკითხველის გულის მოსაგებათ ასე ბლომათ იბეჭდება. ვინც ამ წიგნს გულდასმით წაიკითხავს და სურათების გადათვალიერებით მხოლოდ არ დაკმაყოფილდება, ის ადვილათ გაიგებს იმ ტრაღედიას, ამ სურათების უკან რომ არის დამალული.

⁂

ჯერ მიღწევების შესახებ. განსაკუთრებით დიდ მიღწევებს ავტორი ხედავს სამხედრო ძალის მოწყობაში. ხელისუფლებას ჯარი სჭირია უპირველეს ყოვლისა თავის პოლიტიკის დასაყრდნობ ბაზათ; ხოლო, რადგანაც ჯარის შემადგენლობა უმეტეს ნაწილათ გლეხებია, ე. ი. წარმომადგენელნი მოსახლეობის იმ ნაწილის, რომელიც ნაკლებათ ეტანება კოლექტივიზმს, ყაზარმებში მეცადინეობის დიდი ნაწილი ჯარისკაცთა გაკომუნისტებას ხმარდება: პირველ წელიწადს ამას სამას საათს ანდომებენ. ჯარის დაბალ ფენებში წარჩინებას ისინი იღებენ, ვინც კომსომოლი იყო; ხოლო სამხედრო იერარქიის მაღალ საფეხურებზე უფრო სასტიკი გადარჩევაა და ნაწილების კომანდირთა 60 პროცენტი კომუნისტურ პარტიის წევრებისგან შესდგება. მშვიდობიანობის დროს ჯარის რაოდენობა ექვსას ათას კაცს წარმოადგენს, ხოლო მობილიზაციის დროს იგი ერთი თვის განმავლობაში ხუთ მილიონამდის იქნება აყვანილი.

სამხედრო ძალა უმთავრესად ხმელეთის ჯარს და ავიაციას ემყარება, შეიძლება იმიტომაც, რომ დღევანდელ რუსეთს, როგორც გუშინდელს, უფრო ხელსაყრელათ მიაჩნია სამხედრო ოპერაციების თავის უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლა. საზღვაო სამხედრო ძალა სუსტია, ცოტა ყავთ სამხედრო გემი, და მაინც და მაინც არც უნდა ცდილობდენ ამ ძალის გადიდებას; თითქოს სტალინს მეზღვაურები უნდა ეჯავრებოდეს კიდეც, რადგან ისინი, რომელთაც ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს, დამოუკიდებელ ხასიათს იჩენენ და ბევრჯელ ხელისუფლება დიდ საგონებელშიც ჩააგდეს; ასე, 1932 წ. კრონშტადტის მატროსებმა თავისი მომხრეობა შესთავაზეს ვოროშილოვს, იმ ხანათ სტალინის ოპოზიციაში რომ იმყოფებოდა.

შინაურ რეჟიმის სტაბილიზაციისთვის ჯარს ეხმარება ოგეპეუს ნაწილები, ჩონი და სამი მილ. ნახევარი კომუნისტური ახალგაზდობა. სამხედრო იდეების მქადაგებელია ოსოავიახიმი და კომსომოლების ორგანიზაციები. ჯარი პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფება; იგი კარგად ჩაცმულია, მაძღარია და მოწყობილი.

პირველი ხუთწლედი უმთავრესად სამხედრო და სტრატეგიულ მიზნებს ემსახურებოდა; «საბჭოები უფრო აფასებენ ზარბაზნების ქარხნებს, ვინემ საჭმელ კონსერვებისას... ხოლო იმ კორექტივით, რომ ეს ზარბაზნები მარქსისტული ზარბაზნებია». მუშას თავში ჩაუნერგეს, რომ იმან მსხვერპლი უნდა გაიღოს, იტანჯოს, თორემ ომი მოხდება და ეს კიდევ უარესი საშინელება იქნება მისთვის.

ვისი ეშინია საბჭოთა ხელისუფლებას? უპირველეს ყოვლისა ჰიტლერის გერმანიის (ახლა იმით აშინებენ ხალხს, როგორც ამ რამდენიმე ხნის წინათ საფრანგეთით აშინებდენ), შემდეგ იაპონიის—ეს მართლაც საშიშროებას წარმოადგენს (სამას კაცს რომ შეეკითხოთ რუსეთში, სამასივე ერთნაირათ გიპასუხებთ, რომ იაპონიასთან კონფლიქტი აუცილებელია), დაბოლოს ინგლისის იმპერიალიზმის...

⁂

წინა დროსთან შედარებით სამრეწველო წარმოება ძალიან გაზრდილია: ნახშირის 97 პროც., ელექტრონის 770 პროც., საფეიქრო—47 პროც. და სხვ. ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში განუხორციელებიათ, თუმცა არა სავსებით, და ახლა მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას (1937 წლისთვის) შესდგომიან. ყველაფერი ამისთვის, ყოველ შემთხვევაში ქაღალდზე, მზათ არის. რა უნდათ გააკეთონ?—30 ათასი კილომეტრი ახალი რკინის გზები, 400 ათას ავტომობილისთვის საჭირო შარა გზები, არხები ვოლგის და დონის, შავი ზღვის და კასპიის ზღვის შესაერთებლათ; პოლიარულ ზღვით ფინლიანდიიდან ვიდრე წყნარ ოკეანემდის ნავოსნობის მოწყობა, აეროპლანებით საქონლის ტრანსპორტის გამართვა, მოსკოვის, ხარკოვის, ლენინგრადის და სხვა უმთავრეს ინდუსტრიალურ ქალაქების გასათფობათ ელექტრონის გამოყენება და... ხმებია (შეიძლება ჭორიც იყოს) იმის შესახებაც, რომ გათფობილი იქნება ციმბირის მთელი საზღვაო ნაპირი, რათა გაყინულ წყლის დენას, ახლა რომ სახალინისა და ამურის შესართავის შუა აქვს ადგილი, მიმართულება შეუცვალონ და იმას აღმოსავლეთ იაპონიის ნაპირებისკენ უქციონ მიმართულება...

ასე აღწერს ავტორი ყოველივე იმას, რაც საბჭოთა კავშირში მას უნახავს და გაუგონია. მას იქ ბევრი უმგზავრია, მრავალი ქალაქი და სოფელი უნახავს, ქარხნები, სახნავ-სათესი მიწები, სახელმწიფო და კერძო მეურნეობა დაუთვალიერებია და ბევრი ნაცნობობა სულ სხვადასხვა კუთხეში გაუჩენია. ბევრ რასმეს მასში განცვიფრება გამოუწვევია, ბევრს—სიბრალული, ბევრს—სრული გაუგებრობა. და აი ყოველივე ამის «დოკუმენტაციას» იძლევა.

⁂

საბჭოთა აღმშენებლობის შედარება შეიძლება მხოლოდ ფარაონების აღმშენებლობასთან, იმ აზრით, რომ ორთავეს ერთი და იგივე გარემოება ახასიათებს: აბუჩათ აგდება ადამიანის სიცოცხლის და ტანჯვის, გემოვნება უზარმაზარ რამეების ასაშენებლად და აუცილებელი საჭიროება ყოველივე იმის, რაც უზრუნველყოფდა იქ—დინასტიას, აქ—არსებულ რეჟიმს.

ერთი მიზანი მიღწეულ იქმნა: სოფლის მეურნეობის ქვეყანა ინდუსტრიალურ ქვეყნათ გადააქციეს, ხოლო ხალხის ნივთიერი მდგომარეობა არამც თუ არ გამოცვლილა, იგი გაუარესდა: 8—10 მილიონი ადამიანი მუდამ შიმშილობის მოლოდინშია, მთელი ხალხი გადასახადებით წელში იზნიქება; საქარხნო ნაწარმოების თვითღირებულება ისე ძვირათ ჯდება, რომ საქონელი უცხოეთის კონკურენციას ვერ უძლებს; ხალხი დამშეულია, რადგან პური ხელისუფლებას სჭირია უცხოეთიდან შემოსატან საგნებისთვის და იქედან მოწვეულ ტეხნიკოსებისთვის; ასე იყო პირველ ხუთწლიან გეგმის განხორციელების დროს და ამასვე უნდა მოველოდეთ მეორე ხუთწლიან გეგმის განხორციელების პერიოდში; ფული არაფრათ ფასობს, ბაზარზე საქონელს საქონელში სცვლიან, «ტორგსინის» მაღაზიები კი უცხო ვალიუტით ვაჭრობენ; ყოველგვარი საქონელი, რასაც რაიმე ღირებულება აქვს—ხორბალი, ხე-ტყე, ნავთი, ბეწვეული—ყველაფერი უცხოეთშია გატანილი; შინ კი არც ტანსაცმელი აქვთ, არც ფეხსაცმელი, არც საპონი (რაც არ აქვთ, რასაკვირველია, იგი არც სურათზე და არც ეკრანზე არ გადაიღება); სამაგიეროთ, აუარებელი მანქანები აქვთ—უცხოეთიდან შემოტანილი და შინ დამზადებული (ეს სურათებზეა გადაღებული).

არავითარი კოორდინაცია საამშენებლო მუშაობაში არ არსებობს, არავითარი პრაქტიკული მოსაზრება. ამის მაგალითი მრავალია: უზარმაზარ ქარხნების შენებას შეუდგენ (ალბათ ამის სურათიც გადაიღეს) და შემდეგ აღმოჩნდა, რომ მთელი ექვსი

განვლილი საფრთხე, უბედურება და განსაცდელი ფერს ჰკარგავს; ჟამთა დენა შლის მის სახეზე საშინელ ხაზებს. ასეა ახლაც, თორემ ვინ არ იცის რა საბედისწერო დღეები განვიცადეთ ჩვენ და ჩვენმა ქვეყანამ.

ბოლშევიკების გადატრიალებამ რუსეთში ერთავად ააფორიაქა ჩვენი ცხოვრებაც. მან ერთის დაკვრით მოგვწყვიტა იმ ხალხს, რომელთანაც მთელი საუკუნე გვაკავშირებდა და ჩვენი ბედის ნავი ანარქიის აქაფებულ მორევში გადაისროლა. ფრონტი დაირღვა, დემოკრატია დაიქსაქსა, რუსეთი დაიშალა, დავრჩით საკუთარი თავის ანაბარა. ფრონტიდან ლაბრუნებული ჯარი თფილისის აკლებას ლამობდა, ქალაქში დაბანაკებული ოცი ათასამდე ჯარი ქალაქის დასარბევად დღე-დღეზე გამოსვლას აპირებდა. ბნელმა ძალებმა, ქურდებმა, დამცემლებმა, ყაჩაღებმა თავი წამოყვეს, მათი თარეში ქვეყანას ალივით ედებოდა. რა გადაგვარჩენს, რა გვიხსნის—ისმოდა ყოველი მხრიდან. არაფერი—ამბობდენ ერთნი. სასწაული—უპასუხებდენ მეორენი.

აი ამ ყოფაში მართლაც მოხდა სასწაული. 300 შეიარაღებული მუშა თავს დაესხა არსენალს, რომელსაც მთელი ათასეული სდარაჯობდა. ეს იყო ნამდვილი სიგიჟე გმირისა, ეს იყო თავდავიწყებითი გატაცება გამოწვეული ქვეყნის ხსნის სურვილით. და გაიმარჯვეს კიდეც. ამ გამარჯვებამ იხსნა მთელი საქართველო (და განა მარტო საქართველო) განადგურებისაგან. ჩვენში არ აღმოჩნდა სხვა კლასი, რომელსაც უდიდესი განსაცდელისა და საშიშროების დროს გამოეჩინა თავგანწირულება და თავს ედო ქვეყნის გადარჩენა სრული განადგურებისაგან. ასეთი აღმოჩნდა მხოლოდ მუშათა კლასი. ამ მცირე შეიარაღებულ გუნდიდან იწყება მუშათა და გლეხთა ფართო შეიარაღება და ჩნდება წითელი გვარდია, რომელიც შემდეგ სახალხო გვარდიათ გადაიქცა.

სახ. გვარდია არ იყო ჯარი. ჯარისკაცი მოწყვეტილია თავის საქმეს, თავის ხელობას. მისი ერთადერთი საქმე—თოფია. გვარდიელი კი ერთ და იმავე დროს ჯარის კაციც იყო და თავის ხელობის კაციც. გაჩნდებოდა საფრთხე—თოფს აიღებდა და რესპუბლიკის საგუშაგოზე დგებოდა. გაივლიდა საფრთხე თოფს მიაყუდებდა და თოხ-ჩაქუჩს უბრუნდებოდა. სამარი და სამუშაო იარაღის შეთვისება, შეთავსება—აი მისი მთავარი დამახასიათებელი თვისება.

ბევრი, ძალიან ბევრი შავბნელი დღე უნახავს ჩვენს ქვეყანას და ამ განსაცდელის მომენტებში გვარდია იყო მისი ერდგული დარაჯი. და თუ როგორ პირნათლად აასრულა მან თავის წმინდა მოვალეობა—ამას ნათლად ამტკიცებს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონი. ეს კანონი ეხება სახ. გვარდიას და იწყება ასე:

«რევოლიუციის დროს, განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში, როცა უთვალავი საფრთხე და უბედურება ემუქრებოდა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ნორჩ და გაუმაგრებელ სახელმწიფოს, წითელმა გვარდიამ დაუფასებელი სამსახური გაუწია თავისუფლებას და სამოქალაქო წესრიგის დამყარებას. წითელი გვარდია, რომელიც შესდგა მოწინავე მუშებისა და გლეხებისაგან გმირულის ვაჟკაცობით იცავდა თავისუფლებას და რევოლიუციას გარეშე და შინაური მტრისაგან. მან იტვირთა მთელი სიმძიმე ბრძოლისა გაძლიერებულ ანარქიასთან, რომლის მღვრიე ტალღები წალეკას უქადდა საქართველოს რესპუბლიკას. წითელი გვარდიის ამ დიადი სამსახურის აღსანიშნავად, ეროვნული საბჭო ამით აცხადებს წითელ გვარდიას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახალხო გვარდიათ» (1918 წლის, 2 ივლისის კანონი. «ოფიც. დამატება გაზ. «საქარ. რესპუბლიკა»-ს № 1, 1918 წ. ივლისი 25.

დამსახურების ამაზე უმაღლესი ატესტაცია აღარ შეიძლება. ქართველი ერის უზენაესი ორგანო—ეროვნული საბჭო, კანონის სახით, აღნიშნავს რა გვარდიის უდიდეს დამსახურებას, ნიშნად მადლობისა აცხადებს მას «რესპუბლიკის სახალხო გვარდიათ» და მისი ორგანიზაციის მოსაწყობად და შესანახად შესაფერი თანხაც შეაქვს სახელმწიფო ბიუჯეტში. უვიცობით, ანდა ბოროტი ზრახვებით შეიძლება აიხსნას იმის მტკიცება, რომ თითქოს გვარდია იყო არა სახელმწიფო, არამედ პარტიული ორგანიზაცია. მართალია აქ უდიდესი ნაწილი ჩვენი ამხანაგები იყვნენ, მარა ეს აიხსნება იმით, რომ ის წრეები, რომლებიც დღეს ასე ფახა-ფუხობენ, იმ ხანებში მაინცა და მაინც არ ეტანებოდენ ისეთ ადგილებს, სადაც ტყვია-წამალი მუშაობდა და ბოლავდა. და თუ ეტანებოდენ ზიანის მეტი არა მოუტანია რა. გაიხსენეთ ქართული ნაწილების შექმნის ისტორია. თანახმად სეიმის დადგენილებისა ფრონტიდან გამოწვეული იყო ყველა ქართველი ჯარისკაცი, რომელთაგან შესდგა ცალკე ერთეული თავის ქართველი ოფიცრებით. არც ერთ რუსის ჯარს არ მოუყენებია იმდენი ზარალი როგორც ამათმა. ქუთაისში იდგა რუსის სამი პოლკი. ჩვენ შევსძელით მათგან ქალაქის გადარჩენა, მაგრამ ქართული ნაწილებისაგან კი ვერ ვიხსენით და კიდევაც აიკლეს არა მარტო ქალაქის მაღაზიები, არამედ რკინის გზის და სხვა კერძო საწყობები. ეს ამათმა წაიყვანა თავის ყაზარმაში კომუნისტი ბ. მდივანი, რომელიც გააფთრებულ აგიტაციას ეწეოდა ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და რომელსაც დასაჭერათ სდევდენ. წაიყვანეს და ქალაქს განადგურებით დაემუქრენ თუ მას ვინმე დაიჭერდა. მეორე ნაწილმა თფილისში აკ. ჩხენკელი დაატყვევა თავის ყაზარმაში, როგორც ნაციონალისტი. ერთი სიტყვით ეს ქართული ნაწილების ისტორია მუდამ მწარე მოსაგონარათ დარჩება ჩვენს ისტორიაში და რომ გვარდიას მათთვის იარაღი არ აეყარა—ვინ იცის რას ჩაიდენდენ და როგორი გზით წარიმართებოდა ჩვენი ქვეყნის სავალი გზა.

საგაზეთო წერილში შეუძლებელია ჩამოთვლა ყოველივე იმის, რაც გააკეთა გვარდიამ. აღვნიშნავ მხოლოდ მომენტებს. არსენალის აღების შემდეგ მან იარაღი აჰყარა ქართულ ნაწილს გორში, ქუთაისში, თფილისში, თელავში. აქედან ბრძოლა სადახლოში, სადახლოდან ცხინვალში, შემდეგ ბათუმში, ბათუმიდან სოხუმში, სოხუმიდან ისევ თფილისში ოსმალების წინააღმდეგ—ტაბახმელა-შავნაბადას ფრონტი. აქედან ერთი ნაწილი დუშეთში შემოჭრილ კომუნისტების წინააღმდეგ, ხოლო მეორე ნაწილი აფხაზეთში შერვაშიძის მიერ მოყვანილ ოსმალთა ასკერების წინააღმდეგ. დუშეთის შემდეგ ტუაპსე, შემდეგ ომი სომხებთან, შემდეგ ახალციხე, საჩხერე, ლეჩხუმი, დენიკინი და ბოლოს ისევ ბოლშევიკები. ერთი სიტყვით, გვარდიას არ ახსოვს არც ერთი მოსვენების დღე. ის შეუწყვეტლივ იდგა ქვეყნის სადარაჯოზე, ის მუდამ ყარაულობდა ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს რომელსაც სხვადასხვა ჯურის მტრები ესია და ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრას ცდილობდა. ამ ბრძოლებში გვარდიამ მარტო ერთი წლის განმავლობაში დაჰკარგა მოკლული—197 კ., დაჭრილი—2,729 კ., დაავათმყოფებული (ამბულ.)—5,483 კ.

«მხედარი» და მისი თანამშრომელი გენ. ბაქრაძე, ამაოდ ცდილობენ დაუმტკიცონ საზოგადოებას რომ «გვარდია არამც თუ არ გამოდგა სახელმწიფოს დამცველად, უშლიდა კიდეც ჯარის მოქმედებას, პოზიციებსა და თავის ადგილებს სტოვებდა, ვინაიდან მოკლებული იყო მოვალეობის გრძნობებს»-ო და სხ. ამაოთ იმიტომ რომ გვარდიის ბრძოლა ერთხელ უკვე აღნიშნული და დაფასებულია ეროვნულ საბჭოს მიერ, ხოლო შემდეგ ისეთი ავტორიტეტისაგან, როგორიც არის მთავარსარდალი. აი რას სწერს თავის ბრძანებაში მთავარსარდალი გენ. კვინიტაძე: ... «საქართველოს მეომარნო! თქვენ კეთილსინდისიერათ მოიხადეთ ვალი სამშობლოს წინაშე. თქვენ ღვრით საკუთარ სისხლს, ხშირად განიცდით სიმშილ-სიცივეს, მაგრამ მტკიცედ გახსოვდათ თქვენი მოვალეობა და მიუხედავად გაჭირვება-სიმშილისა, თქვენ—ჯარმა და გვარდიამ თქვენი გმირული გულმკერდით შეინარჩუნეთ სამშობლოს დამოუკიდებლობა და ყველაფერი ის, რაც მისცა ჩვენ ქვეყანას რევოლიუციამ, თქვენ იცლებოდით სისხლიდან საომარ ველზე თქვენზე უფრო მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლის დროს, თქვენ გადალახეთ უმაღლესი და ძნელათ გასავალი მთები, გადაიარეთ მდინარეები, თქვენ, როგორც არწივნი, თავს დასტრიალებდით ჩვენს სამშობლოს სადარაჯოებს, მიმოფრინავდით ერთი საზღვრიდან მეორე საზღვარზე და მეხივით ეკვეთებოდით მტერს. ჯარისა და გვარდიის მეომარნო! თქვენ მხარდამხარ ერთმანეთთან ღვრიდით სისხლს ჩვენი სამშობლოს დასაცავათ».

მთავარსარდალი არ კმაყოფილდება გვარდიის მიმართ ამ საერთო სიტყვებით. ის გამოყოფს მას და განაგრძობს: «წითელ ხიდთან ბრძოლის დროს სახალხო გვარდია გმირულათ იბრძოდა უფრო მრავალრიცხოვან მტერთან რომელიც მანამდე ძლევამოსილათ მოდიოდა ათას ვერსს. მაგრამ საქართველოს შვილებმა პირველ შეტაკებისათანავე დაამარცხეს ის და უკუ აგდეს შორს ჩვენი საზღვრებიდან. გვარდია ღირსეულათ და სრული თავგანწირვით იბრძოდა მტერთან, რათა ომის სურვილით გატაცებულ მუდმივ ჯარისათვის საშვალება მიეცა მტრის შესახვედრათ მომზადებულიყო და გვარდიამ ჩვენი სახელოვანი წინაპრებივით შეასრულა თავისი მოვალეობა გმირულათ და სახელოვანათ. (ისმინეთ, ისმინეთ ბატონებო! გ. უ.). მე უნდა დავადასტურო, რომ თქვენ, საქართველოს მეომარნო, იბრძოდით თქვენი მოვალეობის სრული შეგნებით. თქვენთვის საჭირო არ იყო მოცემულ დავალების შესასრულებლათ ძალდატანება, თქვენთვის მხოლოდ მიზნის დასახელება იყო საკმარისი და თქვენ ყოველთვის სრული შეგნებით და მხურვალე გულით ეკვეთებოდით მტერს. უფროსობა და ხელმძღვანელობა ასეთი მხედრობისა, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო და მტკიცეთ ესმის თავის მოვალეობა მის წინაშე, ყოველი სამხედრო პირისათვის არის უაღრესი ბედნიერება. (დაიმახსოვნეთ ეს ბატონებო! გ. უ.). ჩვენ ძვირფას და სასიქადულო სამშობლოს ხსოვნაში ყოველთვის იქნება თქვენი გმირობა და მამაცობა, ის ყოველთვის მადლობით მოიგონებს თავის სახელოვან შვილებს. ვსტოვებ რა მთავარსარდლის მოვალეობას, მე მსურს სრული პატივისცემით და მხურვალეთ აღვნიშნო თქვენი გმირული სამსახური სამშობლოსადმი. თქვენ დაამტკიცეთ, რომ თქვენ ხართ ღირსეულნი შვილნი ჩვენი ღირსეული წინაპრებისა. «აღსდგენ საქართველოს გმირები!» დიდება სამშობლოს, დიდება თქვენ!...» (ბრძანება გენ. კვინიტაძის 19 სექ. 1920 წ. «მხედარი» № 16 გამოდიოდა საქართველოში).

ასე აფასებს გვარდიას და მის ბრძოლებს კაცი, რომელიც მათთან იყო, მათთან იბრძოდა, მათ ხელმძღვანელობდა, მათი მთავარსარდალი იყო. და ასეთი უდავო ავტორიტეტული მოწმობის შემდეგ მკითხველი ადვილათ მიხვდება თუ რა დაბალი ღირსებისაა ის კამპანია, რომელსაც «მხედარი» და მისი გენერლები აწარმოებენ გვარდიის წინააღმდეგ!

აღსანიშნავია რომ როცა «მხედარში» გვარდიაზე სწერენ ერთი სიტყვითაც არ იხსენიებენ ჯავშნოსან მატარებლებს და მათ ბრძოლებს. რატომ? ესეც ხომ გვარდია იყო! და თუ მეორე და მესამე კრწანისზეა ლაპარაკი—განა ამათ მიერ ჩოლოქში გადახდილ ომს შეედრება რომელიმე სხვა ეპიზოდი?!

გენერალი ჩხეიძე მუდამ და ყოველგან იმეორებს: «სახელმწიფოსადმი მოვალეობის შეგნება ერში თითქმის არ არსებობდა»-ო. ვის აყვედრის ამას ბ-ნი გენერალი? საიდან უნდა ყოფილიყო ეს შეგნება ერში? განა მან არ იცის რომ ერში ყოველივე შეგნების შეტანას მაჯლაჯუნასავით რომ აწვა თავს ის რეგულიარული ჯარი, რომლის «რუსულ ახალგაზრდობას» ის თურმე «დიდი ხანი ზრდიდა რუსეთის ჯარის სამხედრო სკოლებში»! განა მან არ იცის რომ სწორეთ ამ შეგნებისათვის გადასწვეს მთელი რიგი ჩვენი დაბა-ქალაქებისა ჯარებმა და მისმა გენერლებმა, რომელთა შორის არა ერთი და ორი ქართველი ოფიცერი ერია! იმ დროს, როცა ჩვენს ერში შეგნების შეტანა სწარმოებდა—გენერალი ჩხეიძე ზრდიდა იმათ, ვისაც შემდეგ ამ შეგნებისათვის ჩვენი დაბა-სოფლები უნდა გადაეწვა. და როცა, ახლა, ეს პატივცემული პირები ერის შეუგნებლობაზე ლაპარაკობენ, მათ ბრალს სდებენ პატრიოტიზმის უქონლობაში—ჭეშმარიტად რომ შეიძლება ითქვას—ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო.

ქართველმა ხალხმა, განსაცდელის უკიდურეს მომენტშიაც კი ისეთი შეგნება, ისეთი ეროვნული დისციპლინა, ისეთი შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა, რომ ის მუდმივ მის დამამშვენებელ გვირგვინათ დარჩება და ამავე დროს ესაა ურყევი საწინდარი მისი ხელახლა აღდგომისა, მისი ხელახლა განთავისუფლებისა.

გრ. ურატაძე.

გაიდარ ბამატი და საქართველო

ანტიმენშევიკური ფრონტის ქართველი ხელმძღვანელების პიროვნება საკმარისათ გამომჟღავნებულია და მეტის მიმატება არც საჭიროა. მხოლოთ—მთიელი გაიდარ ბამატის ვინაობა საკმარისათ გაცნობილი არ აქვს ქართველ საზოგადოებას. ჩვენ გვგონია, რომ არც ის ქართველები, რომელნიც მას დღეს მისდევენ მას კარგათ არ იცნობენ; აი ამიტომ აქვე ვათავსებთ ერთ მის წერილს (№ 53) საქართველოს ნაციონალურ მთავრობისადმი მიმართულს პირველ ივნისს 1918 წელს. აქედან მკითხველი ადვილათ გაიგებს, თუ ვის შეაფარა თავი ჩვენმა ვითომდა პატრიოტებმა და ვისთან ერთად ასე გაშმაგებით და ათასგვარ ინსინუაციებით გვებრძვიან ჩვენ და ჩვენი ქვეყნის მთავრობას. აი ეს წერილი,—ნათარგმნი სიტყვა-სიტყვით რუსულიდან:

«ჩემ მიერ მიღებულია ნამდვილი ცნობები, რომ საქართველოს მთავრობის აგენტები აფხაზეთში აწარმოებენ პროპაგანდას, რომელიც მიმართულია კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკის და მასთან მეგობრულათ განწყობილ ოსმალეთის წინააღმდეგ.

აფხაზეთში გამოცხადებულია 28 წლიდან დაწყებული ახალგაზდათა მობილიზაცია, რომელიც მიმართულია ოსმალეთის წინააღმდეგ. ოსმალეთის მოქალაქეთ, რომელნიც აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან, იჭერს და მათ მეტათ ცუდათ ეპყრობა აფხაზეთში მყოფი ბ-ნ ჯუღელის ქართული რაზმი. აფხაზებს ეს რაზმი ძალით ანიარაღებს, იარაღი კი საქართველოში იგზავნება.

კიდევ გასული წლის სექტემბერში კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა მეორე ყრილობაზე ქალაქ ვლადიკავკაზში აფხაზეთი ფორმალურათ შევიდა მთიელთა კავშირის შემადგენლობაში, განსაკუთრებულ უფლება მოსილ დელეგაციის საშუალებით, რომელიც მივლინებული იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ, და დღეს აფხაზეთი შეადგენს ნაწილს კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკისა..

ვიღებთ რა ამას მხედველობაში, ჩემი მთავრობის სახელით კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებ საქართველოს მთავრობის კერძო აგენტების და სამხედრო ნაწილების ცდების წინააღმდეგ, რომ აფხაზეთი ჩამოაშორონ მთიელთა კავშირს, რომლის შემადგენლობაში ის თავის სურვილით და აფხაზეთის ხალხის ნებაყოფლობით შევიდა.

ჩრდილო კავკასიის და საქართველოს ხალხთა შორის მეგობრულ და კეთილ მეზობლურ განწყობილების შენარჩუნების მიზნით მე ვითხოვ თქვენ განკარგულებას, რათა ქართული სამხედრო ნაწილები დაუყონებლივ გაყვანილ იქნან აფხაზეთის საზღვრებიდან »

ხელს აწერს: გაიდარ ბამატი.

თვის განმავლობაში აკლდათ—ერთში ცემენტი, მეორეში—შუშა, ხოლო მესამეში არ გახსენებიათ სასმელი წყლის გამოყვანა 30 ათას მუშისთვის. «გიგანტების» მოთხოვნილებას პატარა ქარხნების წარმოება ვერ სწვდება: ხშირად აკლდებათ ისეთი წვრილი საგნები, როგორიცაა, მაგალ., ლურსმანი. მუშაობა ფერხდება, დრო ფუჭეთ იკარგება. ხშირად ქარხანა დამთავრებულიც კი არ არის და იგი უკვე ინგრევა; სამი მეოთხედი იმის, რაც ხუთწლიან გეგმის პირველ წლებში გაშენდა, უკვე ინგრევა და ხელახლად ასაშენებელია; ბევრი რამე დაუწყიათ და დაუმთავრებელი დარჩენილა. უზარმაზარი ბინები რადიატორებით, ელექტრონის სამზარეულოთი, აბანოებით გაშენებულია (და სურათზედაც გადაღებული!), ხოლო არც წყალია იქ, არც კანალიზაცია და ისიც კი ვერ მოუხერხებიათ, რომ კიბეებზე რომ გამვლელთ ელექტრონის ლამპები მოუპარავთ, სამაგიერო ჩაესვათ. ეს, რასაკვირველია, სურათზე არ სჩანს).

დრო და ადამიანის ენერგია არაფრათ ფასობს. წარმოდგენილი გაქვთო, კითხულობს ავტორი, რამდენი ენერგია ადამიანის იქნებოდა დახარჯული, მაგალ., სტალინსკის (ნოვო-კუზნეცკის) გასაშენებლად საშუალოდ 45 გრად. და ხანდახან 62 გრად. სიცივეში?

10 მილ. მცხოვრებისთვის შეიძლება კიდევ გასაგები იყოს ეს მსხვერპლი, ეს წამება; ხოლო დანარჩენი 160 მილ. მცხოვრები ყრუთ ურიგდება ასეთ ცხოვრებას; სხვაგან ასეთი მდგომარეობა მრავალჯერ რევოლიუციას გამოიწვევდაო, ამბობს ავტორი. რუსის ხალხი იტანს და დღესაც მთავრობა ხალხის მიერ ამ ტანჯვის ატანის შესაძლებლობას ემყარება. ამბობენ: ქარხნების პირველი მოწყობილობა დაგვიჯდა ძვირათ, პროლეტარიატმა ამისთვის თავის ნებით გაიღო მსხვერპლი და ახლა კი, ხვალ, კეთილდღეობა დამყარდებაო. ხვალ (ზავტრა)! ეს სიტყვა სპეციფიურათ რუსულ «სულს» შეესაბამება, სადღეისო თვალსაჩინო ფაქტებს ნაკლებ მნიშვნელობას რომ აძლევს, ვინემ ზღაპრებს.

საბჭოთა გაზეთები სწერენ, საბჭოთა კავშირში უმუშევრობა არ არსებობსო; ნამდვილათ კი 11 მილიონი უმუშევარია. «ამათ თვითონ დააყენეს თავისი თავი სოციალურ ცხოვრების გარეშეო—სწერს ავტორს პარტიის ერთი წევრი: ციმბირის ტყეებში და თურქესტანის სტეპები მოუწოდებს მათ სამუშაოთ, შეუძლიათ იქ წავიდენ თუ მუშაობა სურთო». მერე იცის ამ წერილის მომწერმაო, კითხულობს ავტორი, რას ნიშნავს მუშაობა ციმბირის ტუნდრებში და კირგიზსტანის სტეპებში?

ხვალ! მერე შეუძლია ხალხს ამ «ხვალ-ხვალე»-ს მოლოდინში საუკუნოთ იტანჯოს? საბჭოთა მოსახლეობას ახლა უდიდესი მორალური კრიზისი ემჩნევა, გაჰქრა პირველ წლების ენტუზიაზმი, მიუხედავათ განუწყვეტელ პროპაგანდისა ცხოვრების მიმდინარეობა შენელდა. უჭმელობა და ყველაფრის დანაკლისი ახლა გაფიცვებსაც კი იწვევს ხოლმე, თვითმკვლელობებს, რასაც დიდის სიფრთხილით მალავენ.

⁂

როცა ათასობით კილომეტრის მანძილზე პურით, ჭვავით, ქართოფილით დათესილ ველებს ვათვალიერებდი, სწერს ავტორი, ერთ წუთსაც ვერ წარმომედგინა, რომ ამ ქვეყანაში, ამ უზარმაზარ რუსეთში, შიმშილობა შესაძლებელი იყო. მაგრამ, როცა მე მრავალი კილომეტრი რკინის-გზით ვიმგზავრე და გზაში ამ გზის უვარგისობის გამო დამსხვრეული მატარებლები ვნახე; როცა შემხვდა ვაგონები, რომლიდანაც იმაზე დატვირთული ხორბალი ასეულ კილომეტრის მანძილზე გზაში ცვიოდა იმიტომ, რომ ვაგონების იატაკი დამპალი იყო; როცა ვნახე სადგურები სავსე საქონლით და ჭირნახულით, ვაგონებში დატვირთვა რომ არ ღირსებიათ; როცა დავათვალიერე სოვხოზები, კოლხოზები და ინდივიდუალური მეურნეობა—მოსკოვის ეს «შავ-კანიანები»,—მაშინ კი დავრწმუნდი, თუ როგორ ცდება ადამიანი, როცა ყოველივეს მხოლოდ გარეგნობით აფასებს.

სოფლის ინდუსტრიალიზაცია იმიტომ დააჩქარეს, რომ მრეწველობისთვის მუშა ესაჭიროებოდათ. მართლაც, ყოველწლიურათ 11 პროც. მოსახლეობის მომუშავე ჰასაკის ხალხი სცილდება სოფელს და ქალაქში მიდის; ამას ის შედეგი მოყვა, რომ მილიონობით ხალხი, სოფლათ რომ თავისი საკვები თვითონ მოყავდა, ახლა ქალაქში ცხოვრობს და საკვებს სხვებისგან მოელის. მაშინიზმი კერპათ გადააქციეს. შეუძლია კი გაუნათლებელ გლეხს, წინათ მანქანა თვალითაც რომ არ უნახავს, მაშინა უფრო ნაყოფიერათ გამოიყენოს, ვინემ საკუთარი მაჯა? მანქანას სპეციალისტები ესაჭიროება, სპეციალისტები კი ხალხის ბორკილებში ჩაბმით ვერ შეიქმნება. სპეციალისტები მრეწველობისთვისაც კი ვერ შეჰქმნეს საკმარისათ: დონეცის მაღაროებში, მაგალითად, მანქანის ხმარებას რომ ვერ შეაჩვიეს მუშა, ისევ მამაპაპურ ნიჩაბს და რუტინას დაუბრუნდენ. სოფელში რაღა უნდა იყოს? უცხოელ ინჟენრებს სული ეტანჯვით «მანქანის საცოდავობით», როცა ხედავენ საუკეთესო მანქანებს ბიჭ-ბუჭების და დედაკაცების ხელში.

რა გამოდის, რომ სოფლის მეურნეობაში სოვხოზები და კოლხოზები მანქანებით არიან შეიარაღებული? სახნავ-სათესი მიწის ოთხი მეხუთედი კოლხოზების ხელშია, რვა პროცენტი სოვხოზების ხელში და მხოლოდ 12 პროც. ინდივიდუალურ მეურნეობაში; და თუმცა ეს ინდივიდუალური მეურნეობა კანონით ყოველმხრივ შევიწროებულია (მაგალ., გუთანში ერთ ცხენზე მეტის შებმის უფლებაც კი არ აქვთ), ინდივიდუალური მეურნეობა იძლევა რამდენჯელმე მეტ მოსავალს, ვინემ მეურნეობა სოვხოზების და კოლხოზების. 250 ათასი ტრაქტორი მართლა არსებობს, მაგრამ ... უმრავლესობა გაფუჭებული და არც მათი გამოსწორება შეუძლიათ. სამაგიეროთ, სოვხოზებში და კოლხოზებში დიდი ბიუროკრატჩინაა; აი პატარა კოლხოზი, მაგალითად: სამასი ჰექტარი მიწა, რომელზედაც რვა ოჯახი მუშაობს და ... ხუთი მოანგარიშე!

აგრარული საკითხი რევოლიუციის მეთექვსმეტე წელში, ავტორის აზრით, ისევე თავსამტვრევ საკითხათ რჩება რუსეთში, როგორც ნიკოლოზ მეორის დროს იყო; როგორც ბატონ-ყმობის გადაგდება ალექსანდრე მეორის მიერ, როგორც ცდა სტოლიპინის გლეხი «მირ»-ის ოპეკიდან გაენთავისუფლებია, ისე სტალინმა რამე ზომა თუ ვერ გამონახა, საქმე კრახით გათავდება; გამარჯვებების «კომუნიკეები» (ცნობები) მოსკოვიდან არაფერს უშველის.

⁂

ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად, ვინ არის იქ ბედნიერი? მგზავრები, ყველაფერს «ვარდის ფერ» სათვალით რომ უყურებენ, თუ მოსკოვში ერთი საღამო გაატარეს იმ დარბაზში, რომელიც ასეთ შემთხვევებისთვის არის მოწყობილი ყოფილ თავადის სასახლეში, მოგითხრობენ, რომ ნახეს ქალები ლამაზი, კარგად ჩაცმული, კოხტათ მოკაზმული; ნახეს ცეკვა, მხიარულება და იქვე «ქვეყანაზე საუკეთესო ბუფეტი», სადაც შედიოდენ ლიტვინოვი, კარახანი, ტუხაჩევსკი. ესენი ბედნიერებია, ყოველ შემთხვევაში, ამ საღამოს. მაგრამ სხვები—ეს ხალხი ქუჩაში რომ ზღვათ დადის, ძალზე გატენილ დანჯღრეულ ტრამვაის ვაგონებში რომ ეკვეხება, ნახევრად დანგრეულ სახლებში რომ ცხოვრობს და სამზარეულო—ქარხნებში რომ სადილობს, ესენი ბედნიერათ გრძნობენ თავს?

ევროპიულ საზომით ამის გაგება ძალიან ძნელია. აი, მაგალითად, ქალაქში: ქმარი სტატისტიკოსია, თვეში 400 მან. იღებს; ცოლი გამგის თანაშემწეა ელექტრონის სადგურზე, თვეში 650 მან. იღებს; ბავშს უფასოთ უზრდიან, შვებულებას აძლევენ, უფასოთ ექიმობენ, კოოპერატივით სარგებლობენ. ამდენი შეღავათი გაქვთ, დიდი ჯამაგირი—თქვენ ფულსაც შეინახავთ, ეკითხება ავტორი. პასუხი: კოოპერატივში ბევრი რამე არ იშოვება, თავისუფალ ბაზრის ფასები კი იცით; ამიტომ როცა სულ აუცილებელ მოთხოვნილებას დავიკმაყოფილებთ, «თავისუფალ შეწირულებას» პარტიისთვის გავიღებთ, დაზღვევა კასისთვის, სპორტისთვის, თავშესაფარისთვის და სხვ., ოთხათ-ოთხი კაპეიკი გვრჩება; რა შევინახოთ ან რა აზრი აქვს ფულის შენახვას, როცა იმის ღირებულება ყოველდღე ეცემა.

ნიკოლოზ, წამიყვანე ამ საღამოს თქვენს რესტორანში სასადილოთ, ეუბნება ავტორი მუშას.—ეს შეუძლებელია, ინჟინერს მუშის სასადილოში ჭამის ნება არა აქვს; მუშები 90 კაპ. ვსადილობთ, ინჟინერმა კი მეტი უნდა დახარჯოს. მაშ თქვენ ძმის-წულთან წავიდეთ ოჯახში და პური თან წავიღოთ, ტაფა-მწვარი გაგვიკეთონ?—მე და თქვენც რესტორანში ვსადილობთ, კოოპერატივში პურის ყიდვის უფლება არა გვაქვს. არა, თქვენ «ტორგსინში» წადით, ვალიუტა გაქვთ—სტერლინგი, დოლარი: იქ ყველაფერს მოგყიდიან—კონსერვს, მურაბას, ნამცხვარს...

რუსის ახლანდელი ფული «რეზინაა». ამიტომ ჯამაგირის გაზომვა შეუძლებელია; ფულს ღირებულება აქვს იმის მიხედვით, თუ ვის ხელში იმყოფება, ვინა იმის დამხარჯველი: კოოპერატივში პური მუშისთვის—8 კაპ. ფასობს, ინჟენერისთვის—11 კაპ. სახელმწიფო ჯამაგირს ერთს ნაკლებს აძლევს, მეორეს—მეტს; ხოლო ხარჯის საქმეც ისეა მოწყობილი, რომ ყველამ სავსებით უნდა გადმოალაგოს მის ხელში გადასული ფული. მეტ ჯამაგირს იღებთ? მაშ უკეთეს რესტორანში უნდა ისადილოთ, უკეთეს ბინაზე უნდა იცხოვროთ. იაფ-ფასიან რესტორანში (რა თქმა უნდა სახელმწიფო რესტორანში) თქვენ არ გასადილებენ, იაფ-ფასიან ბინას თქვენ არ მოგცემენ; ამნაირათ, რაც მოგცათ სახელმწიფომ, ისევე მას უნდა დაუბრუნოთ.

სოფლის მეურნეობაში «ინდივიდუალისტს» არ

ორიოდე სიტყვა ჩემს დენიკინელობაზე

წერილი რედაქციის მიმართ.

მე თავის დამცირებათ მიმაჩნია უპასუხო პრესის საშვალებით ვილაც ჯაყელს იმ ცილისწამებაზე, რომელიც იქმნა წამოსროლილი ჩემ წინაალმდეგ ბ. რეზო გაბაშვილის მოხსენებაზე.

მაგრამ როდესაც კედიას ორგანოს ფურცელზე, ვილაც «კალამს» ეჭვი შეაქვს ჩემს პატრიოტობაში და იმეორებს იმავე ცილისწამებას—ჩემი სიჩუმე დანაშაული იქნებოდა. ამიტომ მე ვიღებ ბ. კედიას გამოწვევას.

ვინაიდან თქვენ ბ. კედია, ალბათ, დავიწყებული გექნებათ (მიჩვეული ხართ დავიწყებას) ბევრი რამ ჩემი სამსახურის ნუსხიდან, რომელიც მე გავწიე ჩემი სამშობლოსთვის—მე იძულებული ვარ გაგახსენოთ: ბათუმთან, სადახლოსთან, დიდ-ლილოსთან (ნორიოსთან) ჩემი საკუთარი სისხლით დავამტკიცე სიყვარული ჩემი სამშობლოს და ერთგული ჯარის კაცის კეთილ-სინიდისიერება. ორი ხიშტის ჭრილობა და ერთი ბოლშევიკების ტყვია—აი ჯილდო საქართველოს მტრებიდან.

თქვენ ალბათ თვალს ადევნებთ საფრანგეთის პრესას. დოდეს და მორრას გადაჭარბებულ თავხედობაზე დე-კირილისმა უპასუხა მოკლეთ და სწორათ: «არა დეზერტირებს დოდეს და მორრას ეჭვი შედიოდეს დასახიჩრებულ ფრანგ კომბატანტების პატრიოტიზმშიო»... იმის არ იყოს არა თქვენ ბ-ნო კედია ბრალს სდებდე დასახიჩრებულ საქართველოს ჯარის კაცს პატრიოტიზმის უქონლობაში.

ჩვენი საშინელი გოლგოთის დღეებში—მე სამი წელიწადი ვცხოვრობდი საქართველოში არალეგალურად და ვიბრძოდი. თქვენ კი მოევლინეთ საზღვარგარეთს მშვენიერი გემით და არხეინათ იმოგზავრეთ. და თქვენ ბედავთ ეჭვი შეიტანოთ ისეთი კაცის პატრიოტიზმზე, რომელსაც აჯანყებულმა საქართველომ დამკომის სახით ჩააბარა აჯანყების დროშა გარე-კახეთის! მართალია მე ის ვერ მივიტანე თბილისამდე, მაგრამ დავრჩი მისი ერთგული და დავტოვე საქართველო უკანასკნელად.

და თუ დღეს მე ჩემ უნცროს ძმას ნიკოს წელიწადში 10 თვე სანატორიუმში ვინახავ. ამის მიზეზი ვარ მე ჩემი რევოლიუციონური მოქმედებით საქართველოში. როდესაც ბოლშევიკებმა ხელს ვერ მიგდეს—ააწიოკეს ჩემი ოჯახი და ჩემი ძმა ნიკო ჩეკის სარდაფებში აწამეს ჩემს გამო. და შენ გინდა ცილი დამწამო, იმიტომ რომ მე არ მეწვია აბელის ბედი?!

თქვენ მაბრალებთ მე დენიკინელობას—რომ გენერალი მაღალაშვილი წავიდა მოხალისეთა არმიის სტავკაში—მაშინ მას ქონდა მანდატი თქვენგან, როგორც ლიდერიდან მაშინდელ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა. როგორ შეგიძლიათ გაბედოთ ამის უარყოფა.

გენერალი მაღალაშვილი იყო ერთი იმ ქართველ გენერალთაგანი, რომელსაც დიდ ანგარიშს უწევდა და დიდათ აფასებდა უმაღლესი სარდლობა მოხალისე არმიისა. თანაც ის იყო პირადი მეგობარი გენერალ ვრანგელის, გენ. კორნილოვის და ბევრი სხვების. გენერალი მაღალაშვილი წავიდა იქ თქვენი რჩევით და დავალებით და მე თვითონ დავესწარი, როცა თქვენები ჩვენი გამგზავრების წინ აძლევდა მას უკანასკნელ რჩევებს. ფრაქცია ვეშაპელის იყო წარმოდგენილი განსვენებულ მაჩაბელით. ჩვენ გავემგზავრეთ ტაგანროგში არა როგორც მოღალატენი, არამედ როგორც ელჩები ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა. იყო ორი კანდიდატი, რომელთაგან ერთერთი უნდა გაყოლოდა გენ. მაღალაშვილს. მაგრამ ვინაიდან მე უფრო მიცნობდენ ტაგანროგში 1917 წ. ბოლშევიკების გამოსვლების ჩაქრობაში მონაწილეობის მიღების გამო, ლეკო მაღალაშვილი ჩემზე შეჩერდა და მეც გავყევი. ჩვენ ვმგზავრობდით ქართული პასპორტებით. გენერლის ოჯახობა და პოლკ. ალიკ ამილახვარი გამოგვყვენ ჩვენ ბათუმამდე—ეს მოხდა ნოემბრის დამლევს 1919 წ. ბათუმში ჩვენ დაგვხვდა საფრანგეთის სამხედრო გემი, რომელმაც იმავე დღეს გაგვაქანა ნოვოროსიაში. ჩვენი მოგზაურობის მიზანი იყო შეთანხმება მოხალისეთა არმიასთან. ვინაიდან გენ. მაღალაშვილს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოხალისეთა სარდლობაში, მას უნდა მოემზადებია ნიადაგი ამ შეთანხმებისათვის.

როგორც ვიცით საქართველოს მთავრობა დენიკინის მიმართ იცავდა სასტიკ ნეიტრალიტეტს. ნაც.-დემ. ლიდერს კედიას კი უნდოდა მეგობრული ნეიტრალიტეტი.

გენ. მაღალაშვილი, რომელსაც ჰქონდა ბ-ნ კედიასგან ასეთი მანდატი შეუდგა ჩემთან ერთათ თავის დავალების განხორციელებას. ჩვენ მიგვიღო გენ. ლუკომსკიმ, გენ. დენიკინმა და მისმა შტაბის უფროსმა გენ. რომანოვსკიმ.

ჩვენი წინადადება იყო ასეთი: გენ. დენიკინს უნდა ეცნო საქართველო დე-იურე, გაეხსნა სამხედრო-საქართველოს გზა და გამოეშვა ყუბანიდან პურის ფქვილი. გენერალი მაღალაშვილი თანახმად მიცემული დირექტივისა ლებულობდა ვალდებულობას, რომ ალეძრა საქართველოს მთავრობის წინაშე შუამავლობა, რომ არ ყოფილიყო აკრძალული მსურველ ქართველებიზა, როგორც ჯარის კაცებიზა ისე ოფიცრებიზა გადასვლა მოხალისებთან, რომლის ტერიტორიაზე უნდა შემდგარიყო ქართველ მოხალისეთა კორპუსი. თუ საქართველოს მთავრობა დათანხმდებოდა, გენ. დენიკინთან ელჩათ უნდა დარჩენილიყო გენ. მაღალაშვილი, მაშინ კორპუსის უფროსი იქნებოდა გენ. მაზნიაშვილი, მაგრამ თუ ელჩათ სხვა დაინიშნებოდა—კორპუსის უფროსათ იქნებოდა გენ. მაღალაშვილი. მაგრამ გენ. რომანოვსკიმ და გენ. დენიკინმა ჩვენი წინადადებები არ მიიღეს, შეთანხმება არ მოხდა და ასე ჩვენი მისია უშედეგოთ დარჩა.

აი ჩემი და განსვენებული მაღალაშვილის «დენიკინელობის» მოკლე ისტორია. ყოველივე ეს კარგათ იცის ბ-მა კედიამ და მიუხედავათ ამისა იგი ბედავს ჩვენ ბრალი დაგვდოს დენიკინელობაში! მკითხველი ადვილათ დააფასებს ასეთ ინსინუაციას.

მე მზათ ვარ წავსდგე სასამართლოს წინაშე და დავამტკიცო ყოველივე ზემოთ თქმული. მადლობა ღმერთს აქ არიან მთელი რიგი იმ პირებისა, რომლებმაც კარგათ იციან ყოველივე ეს.

პატივისცემით ირ. ცაგურია.

◆

12 დეკემბერი

12 დეკემბერი გვარდიის დღეა. ამ დღეს გვარდია დღესასწაულობდა თავის დაარსების დღეს. ამ დღეს ის მართავდა აღლუმს თავის რაზმებისას. ამ დღეს მადლიერი ერი მდაბლათ თავს იხრიდა და წრფელ სალამს უძღვნიდა მის ლვიძლ შვილთ, მის თავდადებულ გვარდიას. ამ დღეს ჩვენი ქვეყნის დემოკრატია კმაყოფილი და იმედით აღსავსე გადახედავდა აღლუმს თავის წითელი რაზმებისას. ამ დღეს ჰეროლდები ბუკითა და ნაღარით მთა და ბარს ამცნობდა გვარდიის «ჭირს გადახდილსა»...

ამ დღის აღსანიშნავად, 15 დეკემბერს, პარიზში მყოფმა ყოფილმა გვარდიელებმა პირველად მოიყარეს თავი. სამწუხაროდ, ამ ამხანაგურ შეხვედრას ზოგიერთი მუშაობის გამო ვერ დაესწრო. შეხვედრას მეტად თფილი და ამხანაგური ხასიათი ქონდა. პირველ ყოვლისა მოიგონეს, ფეხზე ადგომით და გლოვის სიჩუმით პატივი სცეს ბრძოლის ველზე თუ ჩეკის სარდაფებში დაღუპულ თანამებრძოლთა ხსოვნას, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა შეხვედრის ინტიმური ხასიათი.

ყველა დამსწრე ყოფილი გვარდიელი გულის ტკივილით აღნიშნავდა თავის სიტყვაში იმ უმსგავსო კამპანიას, რომელიც გაჩაღდა ამ უკანასკნელ ხანებში ემიგრანტულ პრესის ერთ ნაწილში და საჯარო მოხსენებებში სახ. გვარდიის წინაალმდეგ და ეს მაშინ, როცა იციან რომ გვარდია მოკლებულია ყოველგვარ საშვალებას თავი დაიცვას და უარჰყოს ის ყოველგვარ სიმართლეს მოკლებული ბრალდებანი თუ ცილისწამებანი, რომლებსაც ასე უხვად აწვდიან თავიანთ მკითხველთ თუ მსმენელთ. გამოითქვა საერთო სურვილი რომ გამოცხადდეს საერთო პროტესტი ასეთი დაუმსახურებელი კომპანიის წინაალმდეგ.

დაკავშირებით ამ კომპანიასთან—საჭიროთ იქნა ცნობილი რომ დაარსდეს მუდმივი კომისია, რომელსაც დაევალება მიიღოს ენერგიული ზომები დააგროვოს მასალები იმ როლის შესახებ, რომელიც ითამაშა გვარდიამ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის შექმნაში და მის დაცვაში. გამოითქვა აგრეთვე სურვილი, რომ რადგან ემიგრაციაში მრავლათ არიან ისეთი პირები, განსაკუთრებით ახალგაზდობა, რომლებიც ნაკლებათ იცნობენ გვარდიის მოღვაწეობას, ხოლო იმ ცალმხრივ კომპანიას, რომელსაც აწარმოებენ გვარდიის მტრები, შეუძლია ისინი შეცდომაში შეიყვანოს—გაიმართოს გვარდიის შესახებ საჯარო მოხსენებები.

შეხვედრამ იმდენათ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, რომ გადაწყდა ასეთი შეხვედრა, ამ დღის, 12 დეკემ. აღსანიშნავად, გაიმართოს ყოველ წელს. და რადგან წელს ეს შეხვედრა არ იყო სათანადოთ მოწყობილი—არჩეულ იქნა დროებითი საინიციატივო კომისია სამი პირისაგან, რომელსაც დაევალა მიმართოს ყველა სხვა ადგილებზე მყოფ გვარდიელებს და მათთან შეთანხმებით და საერთო ღონისძიებით მოეწყოს შემდეგში ეს დღე და აგრეთვე ის კომისია, რომელიც იკისრებს გვარდიის შესახებ მასალის დაგროვების ხელმძღვანელობას. ამავე დროებითი საინიციატივო კომისიას უფლება ეძლევა თუ საჭიროება იქნება, სხვა ადგილებში მყოფ ყოფ. გვარდიელებთან შეთანხმებით—მანამდეც გამართოს ყოფ. გვარდიელთა დროგამოშვებითი თათბირი.

დასასრულ წაკითხულ იქნა ქართველი ქალის მიმართვა ყოფილ გვარდიელებისადმი მათი წარსულის მოსაგონებლად და მომავლის სურვილებით.

საკმაოთ გვიანი იყო რომ შეხვედრით მეტად კმაყოფილი მონაწილენი ერთმანეთს გამოეთხოვენ და აქეთ-იქით გაიფანტენ...

დამსწრე.

◆

«ღრუბლიან დღეებში»

გელა: პარიზი. დეკემბერი 1934 წელი.

გასული წლის დეკემბრის რიცხვებში პარიზში გამოვიდა ჩვენი ამხანაგის გელას ლიტერატურული ნაწარმოები, მას თან ახლავს მხატვრული შემოქმედების მოკლე განხილვა ვლ. ბაქრაძის მიერ და ჩვენ აქ არ შეუდგებით მის შეფასებას. გელა ახალი არ არის ქართულ ლირიულ პოეზიაში, ის ეკუთვნის პოეტთა იმ წრეს, რომელმაც ძველი რუსეთის შავბნელ რეაქციის დღეებში, მშრომელთა ტვირთ-მძიმეთა და ჩვენი ქვეყნის ჭირ ვარამზე აამღერა თავისი ჩანგი, რომლის სიმებში მოისმოდა ხმები იმედის, თავდადების და გამარჯვების... ანელებდა უკუღმართ ცხოვრების მწვავე სიდუხჭირეს, ფრთებს ასხამდა, იტაცებდა უკეთეს მომავლისკენ... გავიდა ხანი. ხანმოკლე მოჰყვა ერის ფიზიკური დამარცხება. სამშობლო სულით ძლიერი, თავისუფლებას მოყვარული და მისი მოპოებისთვის უდრეკი ნებისყოფით გამსჭვალული ეწევა მძიმე ბრძოლებს... მოსკოვის ტირანიამ ყოველგვარ საზოგადოებრივ და სამოქალაქო თავისუფლების აღკვეთასთან ერთად—პირზე კლიტე დაადო, რკინის მუხრუჭებში ჩასჭედა თავისუფალ შემოქმედების და აზროვნების განვითარების შესაძლებლობანი... ნაწილი ლიტერატურულ ძალებისა იძულებული გახდა სიჩუმის ან წვალების გზა აერჩია, მეორე ნაწილი გამყიდველთა და მოღალატეთა აწრიპინებენ კალამს სისხლიან დიქტატურის ქება-სადიდებლათ...

და აი ამ დროს «ღრუბლიან დღეებში» ლტოლვილის ხვედრით შევიწროებული პოეტი შორეულ უცხოეთიდან ცდილობს თავის პოეტურ აღმაფრენით სამშობლოსთან სულიერი კავშირის გაბმას; მწვანე მინდორ-ველთა, დაბურულ მთათა და მოანკარე წყაროთა სურათების მწვავე მოგონებათა ცეცხლი ჩვენში აღანთოს; განთავისუფლებისთვის ბრძოლის წყურვილი და აღტყინება გამოიწვიოს... ემიგრაციის დიდი ნაწილი გულგრილათ და ალმაცერათ უყურებს რამოდენიმე პირთა პოეტურ მოღვაწეობას, მაშინ როცა პოეზიას თავის ადგილი ყოველთვის უჭირავს ეროვნულ მოძრაობაში... საკმარისია ირლანდიელთა მაგალითის გახსენება, როცა პოლიტიკური ბრძოლებით დაქანცულნი თავს იყრიდენ ლონდონის მივარდნილ უბნებში და ისმენდენ ლექსებსა და დეკლამაციებს და უკანასკნელთა ავტორნი იყვნენ გამოჩენილნი პოლიტიკური მოღაწენი, სულიერად მოღონიერებულნი, კვლავ ბრძოლა განეგრძნოთ. სამშობლოს სიყვარულის ცეცხლი დაენთოთ...

სულიერი აღმაფრენის, მუდმივ იმედებისა და გამარჯვებისთვის ჩანგის ქლერა შესძლებს შეგვინარჩუნოს მტკიცე ნებისყოფა სამშობლოს აღდგენისა და უკეთეს მომავლის...

გელამ თავისი საკუთარი ენერგიული შრომით შესძლო თავის ლექსების და პოემის გამოცემა და მით მაგალითი მისცა ახალგაზდა ძალებს თუ როგორ შეიძლება გაჭირვების გადატანით გადალახო დაბრკოლებანი და შესძლო თავისი წვლილის შეტანა ქართულ კულტურის საქმეში.

ჩვენ იმედს ვამოვსთქვამთ ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდება მის გამოცემას და შეიძენს მას...

ლეის-პირელი.

◆

წერილი რედაქციის მიმართ

დიდათ პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის მორიგ ნომერში მოათავსოთ შემდეგი წერილი:

«ბრძოლის ხმის» № 48-ში მოთავსებულია ყოფილ მხედართა ასოციაციის თავმჯდომარის ბ-ნ ბ. ცხაკაიას წერილი შემდეგი სათაურით: «მხედართა ორგანიზაციებზე». ყოფილ მხედართა ასოციაციის გამგეობას საჭიროდ მიაჩნია შემდეგი განცხადება: მართალია გამგეობას განზრახული ჰქონდა გაეკეთებია განმარტება «საქართველოს გუშაგში» მოთავსებული წერილის გამო, სადაც ჩვენი ასოციაცია მეტად მრუდედ იყო დახასიათებული. ამ განმარტების მთავარი ხაზები გამგეობას გამორკვეული ჰქონდა და მინდობილი ბატონ თავმჯდომარისათვის რომ მას პრესის საშუალებით «საქ. გუშაგისათვის» პასუხი გაეცა. ამ პასუხში უნდა ყოფილიყო აღნიშნული რომ, ყოფილ მხედართა ასოციაცია არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, არამედ ის არის წმინდა პროფესიონალური დაჯგუფება; რომ ის არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან არ არის დაკავშირებული და მასში იმყოფებიან ისეთი წევრები, რომელნიც არ იზიარებენ ყოფილ მთავრობისა და ეროვნულ ცენტრის მოქმედებას.

ყოფილ მხედართა ასოციაციის
გამგეობა.

P. S. ჩემს წერილში პატარა შეცდომა შემეპარა: «თუ კი ეს ასოციაცია მთავრობას და მის ფრონტს გაჰყვა...» დედანში არის დაწერილი «თუნდ» და არა «თუ», რამაც სრულიად შესცვალა აზრი ჩემისა ფრაზისა. მაგრამ მხედრებისთვის ადვილი მისახვდომი იყო, რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობა, ვინაიდან მხედრებმა კარგად უწყიან, რომ არასოდეს ჩვენს საზოგადოებაში არ ყოფილა ლაპარაკი იმაზე თუ ვის უნდა გავყვეთ ჩვენ. რაც შეეხება ჩემი წერილის მეორე ნახევარში გამოთქმულ აზრს, რომელიც არ მიმაჩნია და არ მიმაჩნდა არასოდეს, რომ ის იყოს რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობისა, ეს არის პირადი ჩემი აზრი, რომლის ქონების უფლება ჩემთვის გამომდინარეობს თვით ჩვენი საზოგადოების ბუნებიდან, რომლის ძალით ყოველი მისი წევრი თავისუფალია მიიღოს ეს თუ ის პოლიტიკური მიმართულება.

დავშთები უმდაბლესსა მონებრივსა სამსახურსა შინა.

ყოფილ მხედართა ასოციაციის თავმჯდომარე
ვიქტორ ცხაკაია.

◆

ნ. მარის ხსოვნის აღნიშვნა

«სერკლ კოკაზიენ»-ში მომავალ იანვარში გაიმართება საჯარო კრება ახლად გარდაცვალებული გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოსის ნიკო მარის ხსოვნის პატივსაცემლად. მოხსენებას წაიკითხავს პროფეს. ექვთიმე თაყაიშვილი. მონაწილეობას მიიღებენ სხვებიც.

◆

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა
გ. განდელაკის წიგნი:

საქართველოს ეროვნული მეურნეობა.

წიგნი პირველი:

ტერიტორია და მოსახლეობა.

შინაარსი:

I. შესავალი.

1. ერი, როგორც ეკონომიური ორგანიზმი.
2. ეკონომიურ საქმიანობის უმთავრესი პირობები.

II. საქართველოს ტერიტორია.

1. საქართველოს ტერიტორიის სივრცე.
2. საქართველოს ტერიტორიის ზედაპირი.
3. სახმარი და უხმარი მიწა საქართველოში.

III. საქართველოს მოსახლეობა.

1. რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის.
2. საქართველოს მოსახლეობა ეროვნების მიხედვით.
3. ქალაქის და სოფლის მოსახლეობა.
4. ქ. ტფილისის მოსახლეობა.
5. წერა-კითხვა საქართველოში.
6. მოსახლეობის სოციალური და პროფესიონალური შემადგენლობა საქართველოში; სხვა ქვეყნებში.
7. საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობა.
8. შრომის პირობები და კვება მოსახლეობის საქართველოში.
9. დასკვნა.

წიგნი გამოვა დაახლოვებით 150 გვერდი და
ეღირება საფრანგეთში 10 ფრ.

„ბრძოლის ხმის“ ექსპედიციისაგან

ხელის მომწერთ ვთხოვთ მათზე დარჩენილი
გასული წლის გაზეთის ფული გაასწორონ
მოკლე დროში.

«ბრძოლის ხმის» გამოწერა შეიძლება
ამხ. პ. სარჯველაძესთან შემდეგი მისამართით:

M-r P. Sardjveladze
9, rue Seguier 9. Paris (6)

მოსწონს კოლხოზი, თუმცა თვითონ ძალიან შევიწროებულია; «კოლხოზელს» არ მოსწონს «ინდივიდუალისტი»—მას ყველაფერს ართმევენ. მე სათესლეს მაინც მიტოვებენო; სოფელს არ უყვარს ქალაქი—ზარმაცი ხალხიაო, მაგრამ მაინც ქალაქებში გარბის. ქალაქს სოფლის ეშინია—ნამეტან დამოუკიდებლობას იჩენენო.

ვინ ცხოვრობს კარგად, ვინ არის ბედნიერი? რუსის კაცის ხასიათი ძალიან ძნელი ასახსნელია; ორი სიტყვა აკერია მუდამ ენაზე: «ნიჩევო» და «ხარაშო». დღეობით უცდის იგი, მაგალითად, სადგურზე, რომ მატარებელში ადგილი იშოვოს და ვერ შოულობს; მისი ცხვირის წინ კი გამაძღარი საბჭოს მოხელე. სამხედრო პირი, უცხოელი თავისუფლათ შოულობს ადგილს და მიემგზავრება. «ნიჩევო!»—ამბობს რუსი: ჩვენი დროც მოაღწევსო! ამბავი მოვიდა, კოოპერატივში რძესა და საპონს არიგებენო; გარბის იგი წვიმიან ამინდში ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში—ახლა მაინც ვიშოვი ამ საგნებსო; მაგრამ 50 კილო საქონელი გათავდა, 300 კაცს იგი არ გასწვდა. «ხარაშო!»—ამბობს რუსი: ნემსს ვიყიდიო!..

⁂

საბჭოთა კავშირს კოლონიებიც აქვს: უკრაინა, კავკასიის სამი რესპუბლიკა, თურქესტანის ხუთი რესპუბლიკა და სხ. გეტყვიან. ეს ჩვენი მოკავშირეებია. ჩვენი «დები», თავისუფლათ შემოსულნი არიან კავშირში და თავისუფლათ გასვლა შეუძლიათო. მერე, ეს ომები უკრაინაში და საქართველოში ბოლშევიკურ ოკუპაციის წინაალმდეგ რაღას ნიშნავს? ნაციონალური მთავრობა ყავთო, კომუნისტურ პარტიის ადგილობრივ წევრებიდან შემდგარიო. მერე, როცა ამ კომუნისტებშიც ცოტაოდენ ეროვნულ გრძნობამ გაიღვიძა, ისინი ხომ შორეულ ჩრდილოეთში გადაასახლეს გენერალურ ხაზის ღალატისათვის!

ყველაზე უფრო ოპოზიციონური უკრაინა და საქართველოა. აქაც და იქაც ადგილობრივ ხალხს უფრო განათლებულათ მიაჩნია თავისი თავი, ვინემ რუსებია. «კოლონიებში» უკრაინა ყველაზე უფრო დემოკრატიულია, ის დღეს ის აღარ არის, რაც 1918 წ. იყო ის ახლა გრძნობს, რომ უკრაინელია. მოსკოვიც უარს ვერ ყოფს, რომ უკრაინის საკითხი არსებობს, ხოლო ეს საკითხი მას დიდი ხნით მიძინებულათ მიაჩნიათ. არაფერი უფრო საშიში არ არის, ვინემ მიძინებულათ თავის მოჩვენება.

უფრო დრამატიულია საკითხი საქართველოს, ჩრდ. კავკასიის, აზერბაიჯანის. 7 მაისს 1920 წ. მოსკოვმა ამათი(?) სუვერენიტეტიც იცნო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის სამხედრო ოკუპაცია მოეხდინა ამ ქვეყნების, რასაც შემდეგ სისხლიანი აჯანყებები მოყვა ერევანში (სომხეთი) და ტფილისში (საქართველო). სტალინს, რომელიც ქართველია, წარბი არ შეუხრია კავშირის დოქტრინის გასამართლებლად და არ დარიდებია აჯანყებულ თავის ბავშობის მეგობრების და ნათესავების დახვრეტას და გადასახლებას. აქ, გასცილდებით თუ არა ქალაქებს, სადაც სოციალიზმი ბუდობს, თქვენ გრძნობთ, რომ სულ მცირე ნაპერწკალია საკმარისი, რათა კავკასიის ლეგენდარულ გმირის—შამილის სული აღსდგეს ყველაში, ვისაც თოფის ტარება შეუძლია. მაგრამ კავკასიის რესპუბლიკები—ეს ნავთია; აღიარება ამის კი იმას ნიშნავს, რომ კომენტარიები ზედმეტია...

⁂

ამნაირათ, საბჭოთა კავშირში მართლაც არსებობს დნეპროსტროი, მაგნიტოგორსკი, კუცნეცკი, ზემო-ავჭალა, რიონი, გიგანტები ჩელიაბინსკის, დონეცის, ყირიმის, უზარმაზარი სახლები და ქარხნები; ეს სურათზე და ეკრანზე გადატანილია. ხოლო, რაც არ არის სურათზე გადატანილი, ეს ის არის, რომ რუსეთში არ არსებობს არც კომუნიზმი და არც ხალხის კეთილდღეობა, არამედ გაუთავებელი ტანჯვა. ბევრი უცხოელი მუშა ჩავიდა რუსეთში კომუნისტათ, მათ ძალიან კარგათ ეპყრობოდენ, ხოლო ფაქტი ის არის, ამბობს ავტორი, რომ მე სამსაც არ შევხვედრივარ იმათგან, რომ კომუნისტათ დარჩენილიყვეს. ლენინიზმი ეს რელიგია არისო, თავის სამღვდელოებით და კრებულით, თავის კერპებით და ქურუმებით, ინკვიზიციით. კატეხიზმოთი და მოციქულებით; მათ თავისი მოწამენიც ყავთ, თავისი ხატები აქვთ და თავისი სათაყვანებელი საგნები: მაშინა და დინამო; იგი ეკლესია არის, სადაც მათი ერეტიკოსებიც ჩნდებიან, რომელთაც საჯაროთ სწყევლიან, შეაჩვენებენ და ეკლესიიდან რიცხავენ...

მოკლეთ, ავტორის აზრით, საფრანგეთში 15 დღესაც ვერ აიტანდენ ისეთ მთავრობის პოლიტიკას, რომელსაც პროპაგანდის საშვალებით შეპყრობილი ყავს ადამიანის სული; რუსის პროლეტარის ცხოვრებას ფრანგის მუშა ერთ კვირასაც ვერ აიტანდა!..

გ. გ.

Arpajon— Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.